თამარ ბართაია

Zoia. Guest House

ზოია . საოჯახო სასტუმრო .

პიესა ორ მოქმედებად

2019 წ.

მოქმედი პირნი:

ზოია (60 წლის)

ბენო (50 წლამდე)

ზიზი (35-37 წლის)

გრემი (55 წლამდე)

დოდოშკა (45-47 წლის)

იურიკო (26 წლის)

თომასი (35 წლის)

დალი (55 წლის)

ნიკუშა და გიგილო (ზოიას კლასელები)

ნუკრი (60 წელს ზემოთ)

***

სასტუმროს მისაღები.

დიდი მოსაცდელი თანამედროვე დიზაინით. რბილი სავარძლები , ტახტი.

კუთხეში პიანინო დგას. ზემოთ ადის კიბეები.

კარზე ზარია. კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით ჩამორბის ზიზი, პალტოთი და ჩემოდნით ხელში. აღებს კარს. შემოდის ზოია, ისიც პალტოთი. ცალ ხელში ჩემოდნით და მეორეში - სინზე ჩაის ტილოგადაფარებული ხაჭაპურებით.

ერთმანეთს გადაკოცნიან.

ზიზი: კაი რა... სად ხარ ამდენ ხანს? უკვე უნდა გავიქცე.

ზოია: დედა, დედა, დედა!!! ეს როგორ მოუწყვია აქაურობა?! სულ სიხარულში, ბედნიერებაში, გათხოვებაში...

რეკავს ტელეფონი.

ზიზი: დიახ... მოვიდა უკვე ტაქსი? (ფანჯრიდან გაიხედავს) რომ არ ჩანს?!...

ზოია ჩემოდანს დადებს. სინით ხელში დადის და ათვალიერებს იქაურობას. თან აღტაცებას ვერ მალავს.

ზოია: ყოჩაღ მამიდა, ყოჩაღ!!! კი ღირდა ეს ამ წვალებად.

ზიზი: (ტელეფონზე) არა ბატონო, კოტე მესხის ქუჩა გითხარით... დიახ, თქვენ ეტყობა სერგო მესხზე ხართ, არაუშავს აქვეა ესეც, დიახ... დიახ... გელოდებით (კიდებს ყურმილს).

ზიზი: მოგწონს?

ზოია: რას ქვია მომწონს, ამას ახლა კაი ვაჟკაცი ვერ მოაბამდა თავს. ზემოთ რამდენი ოთახია?

ზიზი: ხუთი ნომერი გამოვიდა სულ, ორი ლუქსია. მოსულიყავი ცოტა ადრე და დაგათვალიერებინებდი.

ზოია: როდის კი მარა?! სამი დღით რო ტოვებ ოჯახს, არ უნდა მიხედვა?! თანაც, აი ხაჭაპური წამოგიღე, ცხელ-ცხელი, შენ რო გიყვარს ისეთი.

ზიზი: გავრბივარ ახლა, რა დროს ხაჭაპურია?!

ზოია : წაიღე მერე თან.

ზიზი: სად წავიღო ახლა. იყოს აქ, შენ გამოგადგება.

(გამორთმევს სინს და სამზარეულოში გააქვს) აქ არის სამზარეულო. მოკლედ, შენ თვითონ გაერკვევი ყველაფერში, არ გაგიჭირდება.

ზოია: რა გინდა ამაზე მეტი, მთელი ცხოვრება გექნება შენი პურის ფული და აღარ გექნება აფერი სადარდებელი, პატარა ამბავია?! არა, არა, კი ღირდა ეს ყველაფერი წვალებად.

ზიზი: ხო, რა ვიცი... ძლივს ამუშავდა, როგორც იქნა.

ზოია: რემონტმა სულ შეცვალა ყველაფერი, ნამეტანი მომეწონა, ნამეტანი. თუ გინდა გეწყინოს მარა, თლათ ამფერს არ ველოდი. ყოჩაღ მამიდა! აქ ყოფნას არაფერი ჯობია!!

ზიზი: რა ვიცი, ძლივს კი დაგითანხმე და...

ზოია: რა ვქნა? არ მაქვს საშველი, იმას ჩემი გაკეთებული ის უნდა, ამას - ეს. ხო იცი შენც, როგორ არიან მოწებებულები ჩემზე, ახლაც...

ზიზი: შენ ქვემოთ დაიძინებ ჩემს ოთახში (რეკავს ტელეფონი), აი, ტაქსი მოვიდა, კაი გავიქეცი მე.

ზოია: მოიცა ერთი წუთი, მოიცა! არ ვიცი ეს ინგლისური და ვინცხამ რომ მკითხოს, რამე პასუხის გაცემა ხო უნდა შემეძლოს?! მაგიზა უფრო ვითრევდი ფეხს.

ზიზი: არავინ არაფერს გკითხავს. დილას ეტყვი ,,გუდ მორნინგ!'' საღამოს - ,,გუდ ნაით''. ჩემს ჩამოსვლამდე ესენი არც ერთი არ მიემგზავრება. თუ ძალინ გაგიჭირდა, მყავს აქ ერთი ქართველი ებრაელი, რომ გიყვებოდი, ხომ გახსოვს?!

ზოია: კი, რავა არა, ბენო ხო?!

ზიზი: კი ბატონო და კითხე იმას, რაც გინდა. ყველა ენაზე ლაპარაკობს.

ზოია: რუსები რო ყოფილიყვნენ, კი ბატონო, არ იყო პრობლემა, მარა... ისე, რაცხა ცოტა ინგლისური კი ვისწავლე ამ სამ დღეში.

(ისევ რეკავს ტელეფონი).

ზიზი: (ტელეფონზე) გამოვდივარ.

ზოია: კაი ბატონო, რაცხაა, სულ ფეხებზე დაკიდებული გავძლებ სამ დღეს.

ზიზი: მთავარი, რაც მინდა რომ გთხოვო, მაინდამაინც დღეს ჩამოდის ამერიკიდან გრემ გილგუდი, პროფესორი. სტოკჰოლმში გავიცანი შარშან, არაჩვეულებრივი კაცია და ძალიან წარმატებული მეცნიერი. იმას მიმიხედე ჩემს ჩამოსვლამდე, დანარჩენები თვითონ მიხედავენ თავს.

ზოია: რა ვქნა, როგორ მივხედო?

ზიზი: მანდ წერია ყველაფერი, ქართული სტყვებით დაგიწერე. გავიქეცი, თორემ დამაგვიანდა (ზიზი აწვდის ფურცელს, გადაკოცნის და გადის).

ზოია: დამირეკე, რო ჩახვალ.

ზოია სათვალეს ამოიღებს და ფურცელზე დაწერილ ტექსტს კითხულობს.

ზოია: ის გეტყვის - „აი ემ გრემ გილგუდ“ - მე ვარ გრემ გილგუდი,

შენ ეტყვი - „ველქამ“ - კეთილი იყოს შენი მობრძანება.

მისცემ გასაღებს - „ითს იორ რუმს ქი“ - ეს თქვენი ოთახის გასაღებია.

იჰ, რაუნდა ამას?!

კიბეებზე ჩამოდის ბენო.

ბენო: წავიდა ზიზი?

ზოია: კი, ამ წუთას.

ბენო: შენა ხარ მამიდა (გაუწვდის ხელს)?

ზოია: კი ბატონო. შენ ბენო იქნები.

ბენო: გახლავართ, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს ჯიგარო?

ზოია: არაფერი. ერთადერთი, ვიღაც პროფესორი ჩამოდისო...

ბენო: ჩამოვიდეს, მერე ვინ უშლის?!

ზოია: რა ვიცი, რამე რო დამჭირდეს, არ ვიცი-თქვა ეს ინგლისური, ასჯერ ვუთხარი ამ ჩემს ძმიშვილს, მარა არ მომეშვა.

ბენო: მერე, მე აქ არ ვარ, რა პრობლემაა?

ზოია: უჰ, შენ გეიხარე, თორე ცოტა ვნერვიულობ მაგაზე.

(რეკავს ტელეფონი).

ზოია: დიახ?! ტრაფარეტი?! რაის ტრაფარეტი?! დიახ გუჯაბიძეზეა, სახელი _ ზოია, ზოია გუჯაბიძე. დიახ, ბატონო! სასტუმრო, ვის სახელზეაო, მკითხეს.

ბენო: მაიცა, ზოია ვინ არის?

ზოია: ზოია ვარ მეც და ჩემი ძმიშვილიც. ეს ისე, თვითონ დეირქვა მერე ზიზი, თორე ჩემს საპატივსაცემოდ დაარქვა ჩემმა ძმამ მაგასაც ზოია. აბა?!

ბენო: აა... ახლა აგასაგებია ყველაფერი.

ზოია: ყველა ჩემს კლასელს შურდა ჩემი სახელი მაკვანეთში! ორი გმირის სახელი მერქვა -ზოია კოსმოდემიანსკაია და ზოია რუხაძე. ამას წინათ კიდო, ჩემმა მეზობელმა მითხრა, მამაო ყავს შვილი... თუ იცით ქალბატონო ზოია, წმინდანის სახელი რო გქვიათო? წმინდა ზოიაც ყოფილა.

ბენო : კაი კაცო?!

ზოია: აბა რაი?! მას მერე, სანთელს რო ოუნთებ ჩემს შვილებს, ჩემს ძმიშვლებს, ჩემს მონაგარს, მერე წმინდა ზოიასთვის ვლოცულობ.

ბენო: კითხე რა, ერთი იმ შენს მეზობელს, წმინდა ბენო არ არის?

ზოია: ვკითხავ , რატომაც არა. მეც არ ვიცოდი, მარა, ა, ბატონო!

ბენო: კი კაცო. იქნება. აუცილებლად იქნება წმინდა ბენო.

(რეკავს ტელეფონი).

ზოია: ალოო?! ...გუდ მორნინგ, ით იზ ჰოტელ ზოია, იეს? რაიო? (ბენოს) თუ ხარ ჩემი ძამია, დაელაპარაკე ერთი, რა უნდათ?

ბენო: I'll explain to the taxi driver, hand him the phone.(ახალავე აგიხსნით, გადაეცით ყურმილი ტაქსის მძღოლს).

ჯიგარო, ეს არის კი, ვიწრო პავაროტია. კი. აბრა ჯერ არ არ აქვს, ისე 46, კი ბატონო, ზოია. ზოიას გესტ ჰაუზ.

(კარზე ზარია, ბენო აღებს კარს. შემოდის ახალგაზრდა გერმანელი ტურისტი თომასი, შემოვა თუარა რამდენიმე ფოტოს გადაიღებს).

თომასი: გუტენ თაგ!

ბენო: მორნინგ! ამან ხო წამიღო ტვინი, რამდენი სურათი უნდა გადამიღოს გიჟია - ოხერი?!

თომასი იქვე გაიხდის ფეხსაცმელებს და ფეხშიშველი წავა კიბისკენ.

ზოია: დედა, ჩემი სიკვდილი(გაეკიდება ფეხსაცმელებით ხელში).

ბენო: გაანებე რა, თავში ქვა უხლია. ეგენი სუ ეგრე დადიან.

ზოია: რავა გეკადრება ბატონო, ეს სახლი ჩემი ძმის გახლავს, ვინმეს კი არ უჩუქებია ჩვენდა. რავა გეკადრება?! სტუმარს, ფეხზე რავა გავახდევინებთ?! მერე, ამისთანა ორმეტრიან ვაჟკაცს მაგას ვაკადრებ?!

თომასი ტრიალდება და ზოიასაც უღებს ფოტოებს, ღია კარში თომასის იაპონელი ცოლიც, იურიკო გამოჩნდება, ისიც გაიხდის ფეხზე და და კიბისკენ წავა.

ზოია: აგი ვინაა?!

ბენო: ცოლია მაგის.

ზოია: დედა ჩემი სიკვდილი, ამისთანა აპოლონივით ბიჭმა, ამ მოკუნცხულის გარდა, მეტი ვერ იპოვა ვერავინ?!

ბენო: ლენონიც ეგრე არ იყო? ?! სულ მგონია რომ იმ იოკომ ჯადო გაუკეთა. რა უნდა მომცე, რომ ეგეთ ქალს შევხედო, რა უნდა მომცე?!

ზოია: გაჩერდი კაცო, გაჩერდი, თუ ღმერთი გწამს!

ბენო: ვაა?! რაღაც აგვიანებს ჩემი მაესტრო, როგორ მოხდა?!

(ამ დროს ზარია კარზე) აი, მოვიდა.

შემოდის დალი, მკაცრი გამომეტყველების. მხოლოდ ბენოს ესალმება. ზოიას წესიერად არც კი შეხედავს. პალტოს გაიხდის, ფორტეპიანოსთან ჯდება და იწყებს არპეჯიოების დაკვრას. ბენო მის გვერდით დგება და მღერის:

ბენო: ააა!!! ااااا!!! ااااا!!!

დალი: აბა, დო-მი-სოლ-მი-დო. რე-ფა-ლა-ფა-რე... აბა, დავიწყეთ ბატონო ბენო.

ბენო: არა, არ მინდა ეგრე, ეგრე შემეშლება, მარტო ااا მირჩევნია.

დალი : კი ბატონო, აბა დავიწყეთ!

(დალი უკრავს არპეჯიოებს სხვადასხვა ნოტიდან და ბენო იმეორებს - ცოტა უსმენოდ)

ბენო: ااااا!!! ااااا!!! ااااا!!!

დალი: მი-სოლ-სი-სოლ-მი.

ბენო: ااااა!!!

მისაღებში ჩამოდის ფეხშიშველი თომასი. მოკრძალებულად მიდის ზოიასთან.

თომასი: Sorry, Could you order Khatchapuri for us? (თუ შეიძლება ხაჭაპური რომ გამოგვიძახოთ).

ზოია: (ბენოს) თუ კაცი ხარ, მიშველე ერთი, რა უნდა ამ ბიჭს?

ბენო : What can I help you with? (რა გნებავთ?)

თომასი: I want to order Khatchapuri. Can I? (ხაჭაპურის შეკვეთა. მინდა გამოვიძახო, თუ შეიძლება ხაჭაპური.)

ბენო: ხაჭაპურის შეკვეთაო, მანდ უდევს ზიზის და მიეცი ან, შენ დარეკე.

ზოია: აა? კი ბატონო. მაი, არაა პრობლემა. ჯასთ მინით! (ეუბნება თომასს)

თომასი: Thank you! (მადლობა)

თომას ფოტოაპარატი სულ კისერზე კიდია და გაუჩერებლად იღებს ფოტოებს.

ზოია გადის და ჩაის ტილოში შეხვეული ხაჭაპურები გამოაქვს, ერთს თეფშზე დებს და ჭრის. თომასი ხაჭაპურსაც უღებს ფოტოებს

ბენო: (წყვეტს სიმღერას) ვაიმეე, ეს რა სუნი დადგა კაცოოო?!

ზოია: მობრძანდით ბატონო, მიირთვით. ჩემი გამომცხვარია, ამ დილას გამოვაცხვე ზიზისთვისაც , მარა არ იკადრა ქალბატონმა წაღება.

ბენო: ეგეთი სუნი ხაჭაპურის... ბავშვობის მერე... ვაიმეე, ბებიაჩემი რო დააცხობდა ბანძაში, ზუსტად ეგეთი სუნი ქონდა, მომიჭერი ერთი რაა მეც.

ზოია: ა ბატონო, მობრძანდით და მიირთვით (ბენო ხაჭაპურის ნაჭერს გამოართმევს, მაღლა აწევს და თვალდახუჭილი ჭამს).

დალი: არ გავაგრძელოთ?

ბენო: ო, ხო, ხო, ხო.

ზოია ერთ თეფშზე აწყობს ხაჭაპურის ნაჭრებს და თომასს აწვდის.

ზოია: ეს თქვენ და თქვენს მეუღლეს.

თომასი: I wanted to order it. (მე გამოძახება მინდოდა)

ბენო: რა გამოძახება გინდოდა შე სირო, ჯერ გასინჯე (თავისთვის), There is no place, you can order better Khatchapuri than this one. (ამაზე კარგ ხაჭაპურს ვერ გამოძახებ ვერსაიდან)

თომასს ხელში უჭირავს თეფში და მეორე ხელით ჯიბიდან საფულეს იღებს და გადახდას აპირებს.

ბენო: Nothing, It's our present. (არაფერი, საჩუქარია) ოხ, თქვენი გამოყლევებული დედაც, შენთან ბოდიში რაა.

ზოია: რა უნდა, რაა?!

ბენო : ფულის გადახდა. გამოართვი რა შენც, 30 დოლარი თქო, გამოართვი.

ზოია: (ბენოს) გადეირიე?!

ბენო: (თომასს) Gift, Gift! (საუქარი, საჩუქარია!)

ზოია: გიფტ! ვერ გეიგე? გიფტ!

თომასი ცოტა გაკვირვებულია, თეფშით ხელში კიბეებზე ადის.

ზოია : (დალის) მობრძანდით ქალბატონო, მიირთვით თქვენც.

დალი : გმადლობთ, არ მინდა. ბატონო ბენო, არ გავაგრძელოთ?

ბენო: არა, დღეს გვეყოფა. მოიცა, ერთი ამომიღე რაა?! დასვრილი მაქვს ხელები (ისე დაუდგება, რომ უკანა ჯიბიდან საფულე მოუჩანს. დალი უკმაყოფილო სახით ამოაცლის ჯიბიდან საფულეს).

ბენო: გახსენი, გახსენი. ეგ ორმოცდაათლარიანი ამოიღე. ხო ეგა, რას უყურებ?

დალი: (საფულეს გახსნის) აქ ოცლარიანიც არის.

ბენო: რასაც გეუბნები, ეგ გააკეთე. ეგ შენია

დალი: მადლობა, მაგრამ აქ მეტია. *(დალის ორმოცდაათლარიანი კუპიურა უჭირავს)*

ბენო: ვაააა, აიღე რო გეუბნები. ის ოცლარიანი მე მჭირდება, წინასწარ გაძლევ. რა, სადმე გამქცევი ხო არა ხარ?

დალი: როგორ გეკადრებათ?!

ბენო: ხოდა, ვსიო.

(დალი ლაბადას იცმევს და კარისკენ მიდის).

დალი: ე.ი. როდის მოვიდე?

ბენო: დაგირეკავ დალი მასწ. ერთი-ორი დღე სხვა გეგმები მაქვს და მე თვითონ დაგირეკავ, კაი?!

დალი: კი ბატონო (დალი გადის).

ბენო: მეტი არ აგიდგეს გვერდები, რაც მე შენ აღარ დაგირეკო... მაიტა ერთი მაგის წილი ხაჭაპურიც.

ზოია: აიღე რამდენიც გინდა. აბა, წინასწარ რო მიეცი...

ბენო: მოშორდეს ერთი, ეგეთ უჟმურებს ვერ ვიტან, მაგას მართლა მაგის მოსწავლე ვგონივარ. ისე მივეცი, გულში ცუდი რო არ ჩაიდოს. აუუუ, რა ხაჭაპურია?! ყოველდღე რესტორნებში დავდივარ, იქაც კარგია, განა ცუდია ისიც, მაგრამ ვაააა , მართლა ბავშვობის გემო და სუნი გამახსენა.

ზოია: შეგერგოს. ისე კი გამოიცანი, ჩემს ეზოში ერთი კაი გოგო ცხოვრობს, მდგმურია სენაკიდან და დედამისმა მომიკითხა ეს ყველი. იქოურს მაინც სხვა გემო აქვს.

ბენო: ხო რაა სამგრელოს სხვა გემოები აქვს , უთხარი რა, ჩამოიტანოს კიდე, რამდენსაც იტყვის, გადავუხდი.

ზოია: ოხ, მასე ვერ დავავალებ.

ბენო: შენ რა გენაღვლება, უთხარი. გზის ფულსაც მივცემ.

ზოია: ისე, ის ქალი კი იყო მართლა უცხვირპირო, არც გამარჯობა თქვა წესიერად, არც ნახვამდის. ზოგი მაინც რო გამოვა უჯიშო, აჰ. (დალიზე)

ბენო: შენც ხო შეამჩნიე არა?!

ზოია: რა შემჩნევა უნდოდა მაგას?!

ბენო: ხოდა, აი, ჯიგრიანიც მოვა მალე და ერთად უნდა ვიქეიფოთ ჩვენ სამმა (თან ხაჭაპურებს მუსრს ავლებს).

კარზე ზარია.

ბენო: ესეც დოდოშკა მასწი. ის ხო უჯიგრო იყო მუსიკა, ااااა?! ეს მგონი აფერისტია. ერთი კარი გაუღე რაა, მე ამას კუხნაში წავიღებ, თორე სუ შეგვიჭამს.

ბენოს სინზე დაწყობილი ხაჭაპურები გააქვს.

ზოია კარს აღებს, მისაღებში 50 წლამდე, ზედმეტად გაპრანჭული ქალი შემოდის.

დოდოშკა: გამარჯობა! ბენო არ ბრძანდება?

ზოია: კი, როგორ არა, მობრძანდით.

დოდოშკა შემოდის, ქურქს იხდის და იქვე ტახტზე დებს.

ბენოც ბრუნდება ხელში თეფშებით, ჭიქებით, დანა-ჩანგლებით, ზოგი რამ ჯიბეებში უწყვია, ზოგი იღლიაში აქვს ამოჩრილი.

ბენო: გამომართვი, გამომართვი, არ ჩამიცვივდეს .

დოდოშკა ეხმარება. ჭურჭელს ჟურნალების მაგიდაზე აწყობენ.

დოდოშკა: აი სახაზავიც წამოვიღე. აჰ-აჰ-აჰ (კისკისებს). შეგეშლება და რაკ!!!

ბენო: (ზოიას) ხედავ, რა დღეში ვარ?

დოდოშკა: სანამ დააწყობ, აბა გავიმეოროთ?! პირველ რიგში - ხელსახოცი.

ბენო: ოოო, ხელსახოცი არ წამომიღია, მაგისთვის ნუ გამიყვან.

დოდოშკა: კარგი, დავუშვათ აქ არის, სად დევს?

ბენო: მარცხენა მხარეს.

დოდოშკა: სწორია, კი ბატონო. აბა, ეს რისი დანაა?

ბენო: კარაქის.

დოდოშკა: სწორია. ეს არასოდეს გეშლება!

ბენო: იცი რატო?! ეს ცოტა ტალღოვანი როა, კარაქზეც ხო ეგეთ ხაზებსა ტოვებს?

დოდოშკა: მართალია. აბა, დესერტის ჩანგალი? (ბენო მაღლა ასწევს)

დოდოშკა: წითელი ღვინის ჭიქა? თეთრი ღვინის?

ბენო: ესა! იცი, რით დავიმახსოვრე? წითელი ღვინო წნევას ხო მაღლა წევს, ამიტომ, უფრო ცოტა უნდა დალიო და ჭიქაც პატარაა.

დოდოშკა: მთავარია არ შეგეშალოს და, როგორც გინდა, ისე დაიმახსოვრე. წყლის ჭიქა?

ბენო: ესა!

დოდოშკა: გამოწიე ხელები! (დაკრავს სახაზავს) აი! აი! ისევ აგერია. წყლის ჭიქა ყველაზე დიდია, რით ვერ დაიმახსოვრე! აი! აი შენ!

ბენო: აუუუ, ვინც ეგენი მოიგონა ჩემს საწვალებლად, მე იმის!...

დოდოშკა: სადილის დანა? სადილის ჩანგალი?

ბენო: ეს დანა, ეს ჩანგალი.

დოდოშკა: სწორია, ახლა გადავიდეთ დესერტზე.

ბენო: ეხლა კი დამენძრა...

დოდშკა: უზრდელო (ისევ დაკრავს სახაზავს).

დოდოშკა და ბენო აგრძელებენ სუფრის ეტიკეტის სწავლას.

კიბეებზე ფეხშიშველი იურიკო ჩამოდის, ცარიელი თეფში ჩამოაქვს და ზოიასთან მოკრძალებულად დებს.

იურიკო: „დიდი მადლობა“, ააა!!?? (აღტაცებას ბგერებით გამოხატავს, კრუსუნებს, თვალებს ხუჭავს! იაპონურ სიტყვებსაც ამბობს).

ზოია: ოხ, მადლობა თქვენ. ასე მოგეწონათ? დედა ჩემი სიკვიდილი, ნუ დადიხარ გოგო ფეხშიშველი, გაგიცივდება საკვერცხეები და დარჩები მერე უბაღნოდ (ზოია პანტომიმით აჩვენებს ფეხი რომ გაუცივდება, მუცელი, მერე საკვერცხეები რომ ატკივდება და ბოლოს, ბავშვი რომ არ ეყოლება).

ზოია: ენდ ნოუ ბეიბი.

იურიკო ყველაფერს ხვდება, გადაიკისკისებს, კიდევ ერთხელ, მადლიერების ნიშნად, თავს იატაკამდე დაუკრავს და კიბეებზე ხტუნვით ადის.

***

ბენო და დოდოშკა აგრძელებენ ეტიკეტის სწავლას.

დოდოშკა: ზღვის პროდუქტების დანა და ჩანგალი მაინც გეშლება!

ბენო: პრაქტიკის დროს არ შემეშლება, პირობას გაძლევ. ამ კვირაში გვქონდეს პრაქტიკის გამოცდა.

დოდოშკა: კი ბატონო, ოღონდ წინასწარ გამაფრთხილე, რომ მოვემზადო.

ბენო: შენც მომზადება გჭირდება დოდო მასწ?

დოდოშკა: ეტიკეტზე კი არ გეუბნები, ისე, ნორმალურად ხომ უნდა გამოვიყურებოდე?! სალონში წავალ, ცოტას გამოვიპრანჭები.

ბენო: ამაზე მეტი, რაღა უნდა გამოიპრანჭო?

დოდოშკა: კი, გეგონოს?! შენ მე გამოპრანჭული არ გინახივარ.

ბენო: კაი რა დოდო მასწ. ქალი 40-ს რო გადაცილდება, მერე გინდ გამოიპრანჭოს და გინდ არა, მოსტყვნია არა პატრონი. დაკა ხელი!

(დოდოშკა მექანიკურად დაკრავს ხელს და ცოტა აიჭრება).

ბენო: არ მითხრა რო, ახლა 40-ზე მეტისა ხარ!

დოდოშკა: არ ვარ, მაგრამ მალე ვიქნები (იტყუება).

ბენო: კაი ხო, არ გამიბრაზდე. ხო იცი, რო უზრდელი ვარ, აბა, რისთვის მამეცადინებ?! რო ზრდილობიანი გავხდე, ეგრე არ არი?

დოდოშკა: კარგი. ახლა გავედით და შემოვედით. არა, ჯერ ვითომ ლიფტია. აბა, როგორ იქცევი?

ბენო: მოიცა, შპარგალკა ამოვიღოთ... (ეძებს ჯიბეებში)

დოდოშკა: მომეცი ეგ შპარგალკა, უნდა დავხიო.

ბენო: მოიცა რა, დღესაც ზოგჯერ გავაპარებ თვალს. (დაზეპირებულ ტექსტს ამბობს) თუ ლიფტის შესასვლელში ქალი და მამაკაცი დგანან, ქალი შედის პირველი კაბინაში, თუ რამდენიმე ადამიანი დგას, შედიან კართან ახლოს მდგომები.

დოდოშკა: ყოჩაღ! მერე?

ბენო: (შპარგალკიდან) ერთი მამაკაცი ყოველთვის რჩება ღილაკებიან პანელთან. პანელი რაღა ჩემი სირია დოდო მასწ?

დოდოშკა:პანელი, ღილაკები, სართულები სადაც წერია.

ბენო: თუ პანელამდე ხელს ვერ აწვდენთ, ზრდილობიანად ითხოვეთ დახმარება: - უკაცრავად, მე ესა და ეს სართული, თუ არ შეწუხდებით. ლიფტში უხეშობად და უზრდელობად ითვლება მგზავრების თვალიერება-

დაკვირვება და დაჟინებული მზერა ლიფტში თავსაბურავებს არ იხდიან, თუკი ვთქვათ, მამაკაცი ვინმეს არ ესალმება. ზრდილობიანი ადამიანი ხელს არ შეუშლის ლიფტში შემომსვლელებსა და გამსვლელებს, განზე გადგება და შესაძლებლობას მისცემს, იმოძრაონ.

(ამ ყველაფერს დოდოშკა თეატრალურად განასახირებს)

დოდოშკა: ახლა კიბეები, მიდი გისმენ!

ბენო: თუ მამაკაცი და ქალი ერთად ადიან კიბეზე, წინ ქალი მიდის და უკან კაცი მიყვება.
თუ მამაკაცი და ქალი კიბეზე ჩადიან, პირველი მიდის კაცი, უკან – ქალი. ხო სწორია?

დოდოშკა: კი ბატონო. მამაკაცი, იმ შემთხვევაში მიდის პირველი, როცა კიბე ვიწრო, ბნელი ან მიხვეულ-მოხვეულია.

ბენო: იცი, რას გეტყვი?! თუ ბნელა, სივიწროვეა და მარტო ვართ, ვისი, რა ტრაკის საქმეა ჩვენ ორნი რას გავაკეთებთ?

დოდოშკა: ოჰ, უზრდელო (დაკრავს სახაზვს საჯდომზე), ესეც შენ. (ზოიასაც ეცინება)

დოდოშკა: მოვკლავ ამას! გავედით ახლა და შემოვედით (კარს აღებენ და გადიან. დოდოშკა ისევ ურტყამს სახაზვს საჯდომზე, როგორც პატარა ბავშვს). კიდევ ერთხელ გიმეორებ, ადამიანის წინ გატარება თავაზიანობის ტრადიციული ჟესტია. მამაკაცი ქალს ყოველთვის წინ ატარებს, ასაკით უმცროსი - უფროსს, ხელქვეითი - ხელმძღვანელს.
კარი, თუ მასიურია ან ზამბარებზე, მამაკაცი პირველი გადის, კარს დაიჭერს და ქალს გაატარებს. უწესობის მწვერვალია ვინმეს ცხვირწინ მიუხუროთ კარი. ფრაზა - „არა, მხოლოდ თქვენს შემდეგ!" სრულიად უაზროა, ერთნაირი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს შორის.

ზოია: უყურე შენ, მაგენი არც მე ვიცოდი.

ბენო: არც მე ვიცოდი და მშვენივრად ვცხოვრობდი აქამდე ზოიაჯან, ვინც ესენი მოიგონა, მე იმის მკვდარი და ცოცხალი....

დოდოშკა: ახლა გავდივართ ქუჩაში, შეგეშლება რამე და იცოდე, ყველას თვალწინ გაიწკეპლები.

(დოდოშკა და ბენო გადიან).

ზოია: (რეკავს ტელეფონი) ალო?! ტაქსი? კი ბატონო, 46 გახლავთ. წარწერა?! ჯერ არა აქვს სატუმროს, მარა 46 ნომერია, უკვე მოიყვანეთ? ახლავე, ახლავე.

(ზოია კარს აღებს. შემოდის ამერიკელი პროფესორი. გრემ გილგუდი).

ზოია: ველქამ ფლიზ

გრემი: Thank you, I'm Graham Geanguld. (დიდი მადლობა, მე ვარ გრემ გილგუდი)

ზოია: ვერი ნაის, ითს იორ რუმს ქი. (სასიამოვნოა ეს თქვენი ოთახის გასაღებია)

გრემი : Thank you. (მადლობა)

გრემი ართმევს გასაღებს და კიბეებზე ადის.შემოდის ბენო.

ბენო: ეს თუ ჩემზე უზრდელი არ იყოს ზოიაჯან, მე ვიყო რავი რა, რაც გინდა.

ზოია: რაის მაწავლებელია მაგი მაინც ვერ გევიგე?

ბენო: ზრდილობის.

ზოია: რაიო?!

ბენო: იმდენი მირტყა შუა ქუჩაში, სუ ჩაწითლებული მექნება ერთი ადგილი...

ზოია: რაის ზრდილობის მასწავლებელი?

ბენო: ეგრეა ეგრე. მერე აგიხსნი ყველაფერს. მე და შენ ერთი კარგი სუფრა გავშალოთ აქ თავის პურმარილით და ეტიკეტებით, საჭმელ-სასმელი ჩემზე იყოს! გაშლაში ხო მომეხმარები? მე, შენ, ზრდილობის მასწავლებელი და ერთი კაი კაცი.

ზოია: ეგ ვინღაა?

ბენო: ჩემი გიტარის მასწავლებელი. იცი, რა ჯიგარია? მაგასაც ტელეფონზე მოველაპარაკე, 20 ლარად, წინასწარ და მერე რო ვნახე, გავიცანი, ფულს აღარ მართმევს. დამყავს ასე ჩემს აქაურ ძმაკაცებში, ერთად დავქეიფობთ. არადა, ერთი გაჭირვებული კაცია, მარტოხელა. იცი, რა ოჯახისშვილია?! აი, ეტიკეტებზე ეგ უნდა ამეყვანა, ეს დარტყმული დოდოშკა კი არა.

ზოია: რას ამბობ?! გიტარა მეც ძალიან მიყვარს, თან, თუ კარგად უკრავს კაცი, ხო...

ბენო: ეხლა, მეც ხო იცი, არ მეშლება ეგეთები, იმ დღეს სახლში ვესტუმრე ჩემი პურ-მარილით და რო გავიდა, სუფრის ქვეშ 200 ევრო შევუცურე. მე რო წავალ, ჭამა არ უნდა?

ზოია: კეთილი კაცი ყოფილხარ, ყოჩაღ შენ! ამბობენ, არაფერი არ იკარგება, ღმერთი ხედავს ყველაფერსო.

ბენო: თქვენი, თუ ჩემი ღმერთი?

ზოია: ახლა, მაგი არ ვიცი მე.

ბენო: მე ვიცი სამაგიეროდ, მაგრამ მაგაზე მერე... ეტიკეტის სუფრას რო გავშლით.

ბენო ადის კიბეებზე.

გრემი ჩამოდის.

გრემი: Excuse me, Where can I see Zizi? (უკაცრავად, ზიზის სად ვნახავ?)

ზოია: სორი , დედა!

გრემი: Oh nothing, I'll walk in the city, See you later! (არაუშავს, მოგვიანებით ვნახავ, ახლა ქალაქში გავისეირნებ ფეხით)

გრემი გადის

ბენო თავზე ჩაფხუტითა და ბაიკერის შესაბამისი ჩამულობით ჩამოდის.

ბენო: წავედი მე.

ზოია: აუუჰ! საით გაგიწევია?

ბენო: კასკადიორობას ვსწავლობ.

ზოია: რაის კასკადიორობას?

ბენო: ფილმში არ მინდა, რომ ჩემს როლზე სხვა აიყვანონ კასკადიორად.

ზოია: უყურე შენ ამას? ეუჰ! მსახიობი ბრძანდებით?

ბენო: ასე ვთქვათ, ნაწილობრივ კი, მსახიობიც ვარ (გადის).

გრემი სასტუმროში ბრუნდება და ზოიასთან მიდის.

გრემი: Could you help me? Which metro station is near to this Museum? (ხომ ვერ დამეხმარებით, ამ მუზეუმში, რომელი მეტროს გაჩერებაზე უნდა ჩამოვიდე?

ზოია: აუ, ცუდადაა ახლა ჩემი საქმე.

გრემი: (დამტვრეული ქართულით) ცუდად ხართ?

ზოია: დედა? ქართული იცით?

გრემი : მე ხო ლინგვისტი...

ზოია: აგაშენა ღმერთმა. რას ვინერვიულე აბა ტყუილად?

გრემი: რატო ნერვიულობა?

ზოია: რატო და არ ვიცი ეს ინგლისური და გადავირიე ქალი.

გრემი: რატო, დილას კარგად იცოდი?!

ზოია: უჰ, გაჩერდი ერთი, თუ კაცი ხარ! აგერ, რაც მეწერა, იგი გითხარი

(გაუწვდის შპარგალკას), ზიზიმ დამიწერა.

გრემი: არა, ეს ჩემთან არა საჭირო... მე იცის ქართული.

ზოია: არადა, ზიზიმ ეს ასე უთხარიო, ის, ისე უთხარიო, მაგ შეჩვენებულმა.

გრემი: შეჩვენებული არ ვიცი.

ზოია: ეს ისე, ისე, ჩვენებურად გურული სიტყვაა.

გრემი : აა? ეს დიალექტი, რა საინტერესოა ეს კონტაქტი, ძალიან კარგი. მე ხომ ვარ ლინგვისტი და ამ ერთი წელი, ცოტა ვისწავლე ქართული, რომ აქ მოვდიოდი.

ზოია: ძალიან კარგი გიქნია, შენ გეიხარე მაინცდამაინც. აბა, მითხარი ახლა, რა გინდა?

გრემი: მე მინდა წავიდე მუზეუმი, ჯვარი, სვეტიცხოველი, კვართი წმინდა სიდონია, მერე სვანეთი.

ზოია: ახლა ხოა სირცხვილი? მე კი არ ვარ ნამყოფი სვანეთში.

გრემი: მართლა?

ზოია: მართლა, აბა ტყუილად?! მოიცა, მე შენ ისეთ ადამიანს გაგაცნობ, თან რო ყველაფერი იცის და თან, ხალისით რო გამოგყვება ყველგან, მეც კი წამოგყვებოდი მუზეუმში, მარა ახლა ვერ დავტიებ აქოურობას. მაცალე, ჩემი კლასელია მაგი, შენსავით პროფესორი, ჩარეცხილი პროფესორი. აქვე ცხოვრობს ახლოში.

გრემი: როგორი?

ზოია: მაცალე, მაცალე (რეკავს მობილურზე). ნიკუშა, რავა ხარ ბიჭო? მისმინე, ახლა ამერიკიდან არის ჩამოსული პროფესორი ჩემს ზიზისთან და თუ გცალია, რომ გაყვე მუზეუმში?... კი, უი გიგილოა შენთან?!.. თქვენ მომიკვდით საცხა (იცინის), ნასვამები ხო არ ხართ? კაი, მაშინ აგერ ვარ, ჩემი ძმის სახლში და გელოდებით.

გრემი: რა, ახალი ამბავია?

ზოია: მოგაკითხავენ ახლა და მაგაზე უკეთესად ვერ გაჩვენებს ვერაფერს, ვერაკაცი იცოდე. ოო, ეს როგორია იცი ნიკუშა? ბაღნობიდან ეტყობოდა კოჭებში უბრალო ვინმე რო არ გამევიდოდა. მოიცა ერთი, სანამ მოვლენ, ჩაიზე და ხაჭაპურზე უნდა დაგპატიჟო მე შენ.

ზოია გადის და ცოტა ხანში თეფშსზე დაწყობილი ხაჭაპური და ჩაიდნით ცხელი ჩაი გამოაქვს, ჭიქებში ასხამს.

ზოია: ისე, მეც მომშივდა ამასობაში. მიირთვით, მიირთვით.

გრემი ჯდება მაგიდასთან. ჩაის სვამენ და ხაჭაპუს მიირთმევენ.

ზოია: როგორია?

გრემი: ძალიან მომეწონა, გემრიელი...

ზოია: ხოდა, მიირთვი, არ მოგერიდოს, ქვეყანაა კიდო, ზიზის გამოვუცხვე, მარა არ წეიღო.

გრემი: თქვენ გამოუცხვეთ?

(კარზე ზარია).

ზოია: ეე, მევიდნენ ბიჭები (ზოია აღებს კარს. შემოდიან ნიკუშა და გიგილო). უჰჰ, თქვენ გენაცვალეთ. ეს რაია ბიჭო, დასალევი მოიტანე?

გიგილო: აბა, ახალ გარემონტებულ სახლში ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდით?

ზოია: მობრძანდით, მობრძანდით. (გრემს) გაიცანით ბატონო გრემ, ესენი არიან ჩემი ბაღნობის მეგობრები, ნიკუშა და გიორგი, გიგილო. ნიკუშა ისტორიკოსია, პროფესორი, გიგილო - მხატვარი. იმისთანას ხატავს, გასულელდებით.

კაცები ერთმანეთს ესალმებიან.

ნიკუშა: Zoia told me about you, that's very nice of you that you are visiting us and have interests in our country. There are a lot of sightseeings in Georgia, it depends on how long are you staying here and what are your interests in particular. (ზოიამ მითხრა თქვენს

შესახებ ორი სიტყვით. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩამობრძანდით და დაინტერესდით. ჩვენთან ძალიან ბევრი რამ არის სანახავი. გააჩნია, რამდენი ხნით ხართ ჩამობრძანებული და კონკრეტულად, რისი ნახვა გსურთ?)

ზოია: არ გინდა ახლა აქანე თავის გამოჩენა, გადასარევად იცის ამ კაცმა ქართული და ილაპარაკეთ ქართულად.

გრემი: დიახ, ძალიან კარგი ჩემთვის. იცით, მე უფრო მაინტერესებს... თქვენ, რას მირჩევთ?

გიგილო: მე გირჩევთ, რომ დღეს კარგად გავიცნოთ ერთმანეთი და ხვალიდან შევუდგეთ მაგ საქმეს. თანაც, დღეს ცოტა ნასვამი ვარ და საჭესთნაც ვერ დავჯდები.

ზოია: ოჰ, რას ამბობ, რაის საჭესთან, გადეირიე?!

გრემი: აა?! კი ბატონო.

ზოია: ოხ, შენ რა გითხარი გიგილო?!

ნიკუშა: მართალია ეს კაცი. მიდი ახლა ზოია, დატრიალდი შენებურად, ხაჭაპურები კი გქონია, აგერ ღვინოც და მეტი, არც გვინდა არაფერი.

გრემი: ისე მაინტერესებს ქართული ღვინო ძალიან.

ზოია: ამ წუთას ბატონო.

ზოია გადის და ჭიქები შემოაქვს. ნიკუშა ღვინოს ჭიქებში ასხამს.

გრემი: მე ვიცი, საქართველო, უკვე იუნესკომ თქვა, რომ არის ღვინის სამშობლო. ახალი ამბავი.

ზოია: მაგი თქვენდაა ახალი, თორე ჩვენ დიდი ხანია ვიცით.

გრემი: ძალიან კარგი. და მინდა, სვანეთი ვნახო, ჩემი მეგობარი იყო ლასთ, წელი და თქვა, რომ მსოფლიოში, 10 მუზეუმს შორის...

ნიკუშა: არტეფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, იქნებ ხუთეულშიც მოხვდეს.

გრემი: ძალიან საინტერესოა.

შემოდის ბენო ბაიკერის ფორმაში ჩაცმული.

ბენო: ვა�ა, აქ რა ქეიფი აგიგდია ზოიაჯან?!

ზოია: მობრძანდით, მობრძანდით ბატონო ბენო.

ბენო ესალმება კაცებს და ისიც მათ შორის ჯდება.

ბენო: ეს ის კაცია, ზიზიმ რო გაგვაფრთხილა?

გრემი: დიახ, ის კაცია.

ბენო: ვაააა, ქართულიც უსწავლია ამასობაში.

გრემი : დიახ მე ლინგვისტი

ბენო : გაიხარე

გრემი: მეც ვიცი უკვე სვანეთის მუზები ბევრი ინფორმაცია, ჩემი გერმანელი მეგობარი პროფესორი, ადიში ოთხთავი? said that he couldn't even imagine this kind of magic. (თქვა რომ ასეთ საოცრებას ვერც კი წარმოიდგენდა.)

ნიკუშა : დიახ ადიშის ოთხთავი

ზოია: გაიცანით, ბატონი ბენო, წარმოშობით ბანძიდან ქართველი ებრაელი, 22 წლის წასულა აქედან და ახლა, ყოველ წელს ჩამოდის სტუმრად. ისე, ჯობია თვითონ თქვას.

ბენო: რაც საზღვრები გაიხსნა, არცერთი წელი არ გამომიტოვებია. ყოველ ზამთარ-ზაფხულს, თითო თვე აქა ვარ. მიყვარს ეს დალოცვილი კუთხე!

გრემი : ბოდიში , რა არის ქართველი ებრაელი.

ბენო : შენც ებრაელი ხარ ხო ჯიგარო?

გრემი : დიახ

ზოია : უყურე შენ, მე კი არ ვიცოდი.

ბენო : რა ცოდნა უნდა დავინახე თუ არა ეგრევე მივხვდი. ეხლავე აგიხსნი. აქ საქართველოში ცხოვრობენ ბევრი სხვადასხვა ჯურის ხალხი, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, ეხლა ყველას ნუ ჩამომათვლევინებ, მაგრამ არ არსებობს ქართველი-რუსი, ქართველი-სომეხი, ქართველი-ქურთი, მარტო ქართველი -ებრაელია.

გრემი: საინტერესო

ბენო: საინტერესო კი არა ჯიგრულია პირველ რიგში. შენ კიდე ბავრი რამე არ იცი.

გრემი : არა ეს არა მაგრამ მეც ვიცი ისტორია ვისწავლე რომ აქ მოვდიოდი, წიგნები, ინფორმაცია

ბენო: კი ისწავლე, მაგრამ მე იმაზე გელაპარაკები რაც წიგნებში არ წერია.

გრემი: ო ძალიან კარგი.

ნიკუშა: ოცდაექვსი საუკუნე პატარა ამბავი არ არის.

გრემი: ჩემთვის იყო ძალიან საინტერესო, როცა წავიკითხე , ფრანფურტი, ერთი საუკუნეს წინ , ებრაელების დიდი ყრილობა, მთელი მსოფლიო ყველა მხარედან და ყვებიან ერთმანეთზე საშინელი ამბები რაც ებრაელებმა გადაიტანეს ეს არის 1913 , ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი არის წინ. და ერთადერთი დელგატი ამბობს, -რო მე ვარ ქვეყნიდან, სადაც არასოდეს არ დაურბევიათ ებრაელები და ეს არის საქართველო.

ბენო: ყოჩაღ შენც გცოდნია რაღაც-რუღაცეები

ნიკუშა : მართალი ბრძანდებით, ეს კაცი იყო თბილისელი, ქართველი ებრაელი დავით ბააზოვი.

გრემი: დიახ, დიახ

გიგილო: ჰოდა, გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, საქართველოს გაუმარჯოს!

გრემი: გაუმარჯოს!

ნიკუშა: გაუმარჯოს!

გრემი: რას საქმიანობთ ბატონო ბენო აქ? ბიზნესი გაქვთ რამე?

ბენო: კი, სიყვარულის ბიზნესი მაქვს. არის აქ ესეთი ბიზნესი, სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ.

ნიკუშა: ისე მართლა, რას საქმინობთ? რა პროფესიის ბრძანდებით?

ბენო: ეხლა ძალიან ბევრ პროფესიას ვსწავლობ და ვნახოთ საბოლოოდ, რაში უფრო მაგარი გამოვალ, სად ვივარგებ.

ნიკუშა: რას სწავლობთ?

ზოია: დედა, ჯერ ერთი დღეც არ არის, რაც აქ ვარ და უკვე ორ გაკვეთილს მე დავესწარი.

ნიკუშა: მაინც?!

ბენო: რეჟისურა, დრამატურგია, მსახიობის ოსტატობა, კინომცოდნეობა, ლექსის კითხვა, ფარიკაობა, ბაიკერობა, სიმღერა ორნაირი _ საოპერო და ჩვენებური, ქალაქური და კიდევ ბევრი რამეა, რაც უკვე ვისწავლე და უნდა ვისწავლო.

პაუზაა.

ბენო: მართლა, ისე სიღერა კი მოუხდებოდა ამ სუფრას (ზოიას), მიდი რა ჯიგარო, ნუ ამიყვან, სული ამომხადა ჩემმა კასკადიორმა მასწავლებელმა, კართან არის მიყუდებული ჩემი გიტარა და ჩამოიტანე.

ზოია: კი ბატონო (ადის კიბეებზე).

გრემი: მაინც ვერ გავიგე, ეტყობა ჩემი ქართული არ არის კარგი.

ბენო: ეხლავე აგიხსნით, მგონი ამათმაც ვერ გაიგეს. მოკლედ, ახლა ვცხოვრობ საფრანგეთში და მაქვს ჩემი ორი ანტიკვარიატის და ერთი ოქროულის მაღაზია, ჩემი სახლის ქვემოთ. ეს არის ჩემი ბიზნესი და შემოსავლის წყარო ბოლო 25 წელია. ვცხოვრობ მარსელში.

გრემი: მანამდე, რას საქმიანობდით?

ბენო: მანამდე, ქურდი ვიყავი.

გრემი: როგორ, ქურდი?

ბენო: აი, ეგრე.

ბენო პერანგის სახელოებს აიწევს, პერანგსაც შეიხსნის - ყველგან სვირინგები აქვს.

ბენო: რომი, ბარსა, ათენი, სალონიკი, დრეზდენი. უკანაც მაწერია.

გიგილო: მანამდე ამ ქალაქებში ცხოვრობდით?

ბენო: ამ ქალაქებში ვიჯექი ციხეებში.

ზოია გრუნდება გიტარით ხელში და ამ საუბარს შეესწრება.

ზოია: დედა, ჩემი სიკვდილი!

ბენო: ნუ გეშინი ზოიაჯან, 28 წელია ნემსიც აღარ მომიპარავს. სიტყვამ მოიტანა და მაიტა ერთი ეგ გიტარა (იწყებს სიმღერას):

„ასეთია ქურდი ბიჭის ბედი,

ფათერაკი თან დაყვება მუდამ

და სიცოცხლის ნახევარზე მეტი

ციხე-ციხე გაატაროს უნდა“

ბენო სიმღერას ამთავრებს. ცოტა გაუგებარი სიტუაციაა.

ბენო: ჩემი აქ დაბრუნების მიზეზი, ერთ-ერთი, ეს სიმღერაც იყო, რაც ბავშვობიდან ჩამრჩა. დიდი ხნის მერე რო დაბრუნდი საქართველოში,

ხელცარიელი არ ჩამოვსულვარ, კარტაზე უკვე მქონდა ექვი ნოლიანი. რამდენიმე ადამინის გაცნობა მინდოდა, რასაც ბავშვობაში აქ ვერანაირად ვერ ვეღირსებოდი. ამდენი წლის მერე, უკვე კაცი ჩამოვედი, თანაც მდიდარი კაცი. მდიდარი ებრაელი კიდე ამ მშიერ ქვეყანაში, ხო იცით, რასაც ნიშნავს?

ნიკუშა: რას ნიშნავს, მე არ ვიცი?

ბენო: რასა და ყველა ფეხქვეშ გეგება.

გიგილო: ყველა? არა მგონია?!

ბენო: მართალი ხარ ძმაო, ყველა არა, ხოდა მეც იმ ყველადან, მარტო ის ხალხი შემომრჩა, ვისაც მარტო ჩემი ფული კი არა, ჩემი დანახვა ალალად უხარიათ. დიდ ხანს მიმყოფოს გამჩენმა. თქვენც დაგილოცავთ მეგობრებს. ჩვენს მეგობრებს გაუმარჯოს! (გადაკრავს) ო, რა ღვინოა?! საიდან?

გიგილო: გაუმარჯოს! ჩემი დაწურულია.

ბენო: მართლა? მომყიდე რა, რამდენიც შეგიძლია.

გიგილო: არ ვყიდი.

ბენო: რას არ ყიდი? იქნება, რამდენს გთავაზობ?

გიგილო: ისე მოგცემ ძმაო, არ ვყიდი მეთქი, არ გესმის?

ბენო: გაიხარე, ამ დილას ზოიამ ყველზე მითხრა უარი, არ იყიდებაო. არადა, ყველგან ყველაფერი იყიდება, ფასს გააჩნია. (გრემს) შენი სახელი ძმაო? გამახსენე...

გრემი: გრემი.

ბენო: პირველადა ხარ ხო?!

გრემი: დიახ.

ბენო: ხოდა დაიმახსოვრე, ეს არის ერთადერთი ქვეყანა, ერთადერთი, სადაც ჯერ კიდევ არ იყიდება ფულზე ყველაფერი, შეიძლება სხვაგანაც არის სადმე, მაგრამ მე არ ვიცი, არც ვყოფილვარ და არც გამიგონია. მსოფლიოში, მარტო ამ ხალხს შეუძლია ნასესხები ფულით სტუმარი დაპატიჟოს და მაგარი დროც ატარებინოს.

გრემი: ააა? ცოტა ვერ გავიგე?

ბენო: ჯერ ვერც გაიგებ, მაგრამ თუ გაიგე, მაშინ შენც ყოველ წელს ჩამოხვალ აქ ჩემსავით. რა იყო, რა შეშინებული მიყურებ. კაი, გაგვიმარჯოს, ჩვენს მასპინძლებს გაუმარჯოთ, ამ კაი ხალხს. ამას, ისე არ ვამბობ, მაგარი შებერტყილი ებრაელი ვარ, ადამიანებშიც იშვიათად ვცდები. გაგიმარჯოთ! ახლა, საიდან და ვინ ხართ, თქვენც მოყევით ორი სიტყვა, მარტო მე რო მალაპარაკებთ.

ზოია: მე ვიტყვი მაგას და, რასაც ვერ გაიგებს ბატონი გრემი, გადაუთარგმნეთ. მოკლედ, ბატონო ჩემო, ესენი, ნიკუშა და გიგილო არიან ჩემი კლასელები. ჩემი ცხონებული მეუღლე, ზურიკო ებრალიძეც ჩვენი კლასელი იყო. ათი წელია, რაც გარდაიცვალა, თორე იჯდებოდა ახლა სუფრის თავში. გურიაში გავიზარდეთ, ერთ სოფელში. ერთ კლასში ვსწავლობდით და თბილისშიც ერთად წამოვედით. მე და ჩემს ქმარს ბაღნობიდან გვიყვარდა ერთმანეთი და სკოლა დავამთავრეთ თუ არა, იმ წელსვე შევუღლდით. თავიდან, აქანე ვცხოვრობდით, ამ სახლში. ეს ჩემი ძმის სახლია, ძმა მყავადა 12 წლით უფროსი, აგენმა ქე იციან, რავარი პატივსაცემი პიროვნება იყო.

ბენო: ზიზის მამაზე ამბობ ხო? ზიზი მიყვებოდა, გეოლოგი იყო, პროფესორიო.

ზოია: კი ბატონო. მერე ჩემმა ქმარმაც მოიკიდა ფეხი. აგრონომი გახდა და ჩვენც მოვიწყვეთ აქვე ახლოს ჩვენი ბუდე. მერე შვილები მეყოლა და აღარც მისწავლია და არც მიმუშავია არსად. გადავყევი ოჯახს და ნათესავებს. მაკვანეთიდან მოყოლებული ერთმანეთი არ დაგვიკარგავს, აგერ კი მოვედით აქნობამდე. აწი სიკვდილი თუ დაგვაშორებს, თორე მოვდივართ ერთად ჭირში და ლხინში. მოკლედ ესაა, რაც მინდოდა მეთქვა.

ნიკუშა: შენების ხსოვნა იყოს ჩემო ზოია, ნათელში იყოს შენი ძმა და ჩვენი ზურიკო.

ყველანი შესანდობარს სვამენ, გრემიც ცდილობს მიბაძოს მასპინძლებს.

გრემი: იცით, რა ვერ გავიგე, ბოდიში, სკოლა თავიდან, რა შუაშია?

გიგილო: არაფერი, ეს უბრალოდ ახსენა, როდიდან მოვდივართ. მე, ნიკუშა, ზოია და ზოიას ქმარი კლასელები ვართ. ერთი-ორი გამოგვაკლდა, თორემ უფრო მეტნი ვიყავით. დაბადების დღეებზე ახლაც ლამის მთელი კლასი ვიკრიბებით.

გერმი: მთელი კლასი? ბოდიში, რამდენი წლის ხართ?

ზოია: სამოცის გავხდებით ცოტა ხანში, რაღა გვიკლია?!

გრემი: რაა?! ახლა გავგიჟდები. მეც მთელი მსოფლიო მოვიარე, როგორც ბატონი ბენო.

ბენო: შენც იპარავდი კაცო, ეხლა არ გამაგიჟო? ჰა-ჰა-ჰა.

გრემი: არა, არა (იცინის). მართლა პირველად გავიგე, რომ სადმე მთელი კლასი იკრიბება, როცა ამდენი წელი უკვე გავიდა. ეს უნიკალური მოვლენა, დამიჯერეთ ეს უნიკალური მოვლენა.

ბენო: ხოდა შეიტანეთ იუნესკოს არამატერილური, თუ რა ჯანდაბას ეძახით?

გრემი: მართალია ეს კაცი.

ნიკუშა: კარგი, სიცოცხლეს გაუმარჯოს და ახლა გიტარა, ზოიას ვენაცვალე, ერთი...

ზოია: ოჰ, კაი გადაირიეთ?

ცოტა ხანს უარზეა და მერე სიმღერას იწყებს. ნიკუშა და გიგილო აყვებიან. ბენოც ცდილობს. გრემი იღებს ამ ყველაფერს ტელეფონით.

რეკავს ტელეფონი, ზოია იღებს ყურმილს.

ზოია: ოჰ, რას შვრები მამიდა? გადასარევად... კი, აგერ ბრძანდება შენი გრემი. დამალაპარაკეო, მობრძანდით.

გრემი მიდის და ტელეფონზე ესაუბრება ზიზის.

გრემი: კი, კი, ხვალ მივდივარ მუზეუმში, ზოიას კლასელებთან ერთად, ნიკუშა და გიგილო. კარგი, კარგი.... სვანეთში, ძალიან კარგი, გელოდებით.

გრემი ბრუნდება

გრემი: ზიზი თქვა, რომ სვანეთში ისიც წამოვა. რა კარგია.

ბენო: ისე, სვანეთში არც მე ვყოფილვარ და რა არის ასეთი, მეც უნდა წავიდე შემდეგ ჩამოსვლაზე.

გრემი: ჩვენ, სანამ თქვენ მოხვედით, უკვე ვილაპარაკეთ, რო არი უნიკალური ადგილი და მუზეუმიც დიდი მნიშვნელოვანი.

ბენო: რითია მნიშვნელოვანი?!

ნიკუშა: როგორ გითხრათ, ჯერ ერთი, აქ პირველ რიგში, დაცულია ადიშის ოთხთავი და მსოფლიო მნიშვნელობის არტე-ფაქტები

ბენო: შეგიძლია, რო მაგაში მამეცადინო?

ნიკუშა: რაში?

ბენო: აი, არტიფაქტები, ოთხთავიო, ეგენი არ ვიცი.

ნიკუშა: უკაცრავდ, ვერ გავიგე?!

ბენო: რა, ვერ გაიგე, ხელოვნებაში მინდა გარკვევა და მომამზადე თუ შეგიძლია. ისე, არ მინდა. გადავიხდი, რასაც მეტყვი. კიდე ვერ გაიგე?!

ნიკუშა: გავიგე, მაგრამ მე არავინ არასოდეს მომიმზადებია.

ბენო: ხოდა, ეხლა მომამზადე შენც, რა მოხდა. კარგი, უარს ნუ მეტყვი.

ნიკუშა: უარს კი არ გეუბნები, უბრალოდ, მართლა ვერ ვხვდები...

ბენო: კარგი, დაივიწყე, რაც გითხარი. მერე აგიხსნი. ხვალ საღამოს მე აქ სუფრის გაშლას ვაპირებ და ყველას გეპატიჟებით. ეს იქნება ძალიან მაღალი დონის სუფრა და გთხოვთ, დაიცვათ დრეს-კოდი: ქალები - კოქტეილის კაბებში და კაცები _ სმოკინგებში. აბა, ერთი სიმღერაც, თქვენ შემოგევლეთ.

ახლა ნიკუშა იღებს გიტარას და ყველანი ერთად მღერიან

(პირველი მოქმედების დასასრული)

მეორე მოქმედება

სასტუმროს მისაღები.

ორი მოფარიკავე თავგანწირულად ფარიკაობს, შესაბამისი ჩაცმულობითა და ნიღბებით. ხმაურზე ზოია გამოდის და გაოცებული უყურებს. ხმას ვერ იღებს.

ფარიკაობა მთავრდება. ნიღბებს იხსნიან ერთი ბენოა, მეორე - ფარიკაობის მასწავლებელი.

ზოია: დედა, რა შემეშინდა, რო იცოდეთ?! რა ხდება, ვიფიქრე, ვინ ჩხუბობს?!

ბენო: გაიცანი, ეს ჩემი ფარიკაობის მასწავლებელი ნუკრია, ყოფილი ჩემპიონი, სად გაიმარჯვე ჯიგარო?

ნუკრი: გამარჯობა, რუსთავის პირველობაზე. ეჰ, დიდი დრო გავიდა.

ბენო: კაი. აბა, დღეს გვეყოფა.

ბენო ჯიბიდან ფულს ამოიღებს და ნუკრის აძლევს. ნუკრი მიდის.

ბენო: ზოიაჯან, ერთ საათში ვახშამი გვაქ, ხო არ დაგავიწყდა დრეს- კოდი?!

ზოია: უჰ, შენ დეიღუპე საცხა. რაის დრეს-კოდი?

ბენო: აბა, მასე ხო არ დაჯდები?! ყველა გამოპრანჭული მოვა, დოდოშკა მასწი ორი დღეა ემზადება. შეიძლება, ვეღარც ვიცნო.

ზოია: კაი ხო, რაცხას მოვძებნი, არ შეგარცხვენ.

ბენო: შენი კლასელები ხო არ გადაგვაგდებენ?

ზოია: რა ვიცი, მოვალთო. დილას, გრემი წეიყვანეს მცხეთაში, მანამდე აქ მოატარეს თუ რამე მუზეუმია. მოვლენ, მოვლენ. აბა, რას იზამენ.

ბენო: ხოდა, ძალიან კარგი. მე ავალ და გამოვიცვლი.

ზოია: კი მოსულა ეს რვა საათიც. მეც მაქვს წამიღებული ერთი კაი კაბა.

ბენო: მიდი, მიდი, არ შემარცხვინო.

ორივე გადის. კარზე ზარია.

კიბეებზე ბენო ჩამოდის სმოკინგით და კისერზე „ბაბოჩკით“.

ზოიაც საღამოს კაბაში გამოწყობილი ბრუნდება.

ბენო: ვაააა?! ზოიჯან?! რა ლამაზად გამოიყურები.

კარს აღებს. შემოდის დოდოშკა. ქურქს იხდის. კოქტეილის კაბაში არის გამოწყობილი.

ბენო: ვა�ა! ეს ნახეთ!!! რა ფორმაში ხარ დოდოშკა?!

დოდოშკა: ერთი სარკეში ჩავიხედო, ისეთი ქარია, კინაღამ წამიღო. თმები სულ ამიჩეჩა.

ზოია: სუფსარქისია, ასე იცის.

დოდოშკა: ხო ვიცი, მაგრამ აღარ დამთავრდა ეს სუფსარქისი? რამდენი დღეა?

ბენო: წმინდანი გყავდეს და თანაც, ეგეთი ვრედნი?!

სამზარეულოდან უკვე გაწყობილ მაგიდას გამოაჩოჩებენ.

დოდოშკა: ყველაფერი რიგზეა. ეს სამი პერსონა, ვინ არის? დაემატა ჩვენს გარდა ვინმე?

ბენო: ორი ზოიას კლასელია და ერთიც - ამერიკელი პროფესორი.

დოდოშკა: უი, რა კარგია (აღფრთოვანდება).

ბენო: დაეცემა, შენ რო დაგინახავს.

დოდოშკა წამორტყმას დაუპირებს.

ბენო: აბა ეხლა ეტიკეტი დაიცავით მასწ, ეტიკეტი. რა არის, როგორ იქცევით?!

დოდოშკა: მართალი ხარ, დღეს ჩავთვალოთ, რომ გამოცდა გვაქვს ჩასაბარებელი - მაღალი წრის საზოგადოებაში ქცევის წესების გამოცდა.

ზოია: მე აბა, უკვე ჩაჭრილი ვარ მაგ გამოცდაზე.

დოდოშკა: არა, როგორ გეკადრებათ. აქ გამოცდას მარტო ბენო აბარებს. ჩვენ ორნი, მე და ბენო ვართ მთავარ როლებში, დანარჩენები „მასოვკა“.

ზოია: კაი ბატონო.

დოდოშკა: რომელი საათია?

ბენო: რვას ხუთი უკლია მასწ.

დოდოშკა: სტუმრები რომელზე მოიწვიეთ?

ბენო: რვაზე, რა თქმა უნდა.

ზოია: რამდენი რამის სწავლა შეიძლება თქვენნაირი ქალბატონისგან... ახლა, მე ამას, რასაც ბენოს ასწავლით, ვერაფრის გულობიზა ვერ დავიმახსოვრებდი.

დოდოშკა: ბენოსაც ასე ეგონა, მაგრამ ახლა ყველაფერი მშვენივრად იცის. არა?!

ბენო: ვნახოთ აბა, რა ნიშანზე ჩავაბარებ გამოცდას.

დოდოშკა: საერთოდ გახსოვდეთ, რომ ადამიანების დიდი ნაწილი სუფრასთან ქცევის წესებით ვერ დაიკვეხნის. რესტორანში, თეფშთან დანა-ჩანგლის მთელი ასორტი თუ არის, სთხოვეთ მიმტანს, აგიხსნათ მათი გამოყენების წესი. ამის გამო, არავინ დაგცინებთ და ეს არც ეტიკეტის დარღვევაა.

ბენო: ამდენ ფულს იმისთვის ვიხდი რო, კიდე ვიღაც მიმტანს დავუწყო კითხვა?!

დოდოშკა: ეს იმ შემთხვევაში, რამე თუ დაგავიწყდა. იცოდე, შეცდომას შეკითხვა სჯობს. ეს მობილური რატომ დევს მაგიდაზე?!

ბენო: ეგ არ გითქვამს დოდო მასწ, რო მობილური აქ არ დადოო.

დოდოშკა: ჰოდა, თუ არ მითქვამს, ახლა დაიმახსოვრეთ ბატონო ბენო. აიღეთ მაგიდიდან და სუფრასთან ნუ დაიწყებთ ტელეფონით საუბარს. სუფრასთან, როცა საქმეებს ტელეფონით გეგმავთ და სხვადასხვა საკითხებზე საუბრობთ, ეს ძალიან გამაღიზიანებელია. უბრალოდ, ეს თავხედობაა.

ბენო: გასაგებია, თუ გინდა, საერთოდ მოვისვრი ნაგავში.

დოდოშკა: რომელ საათზე არიან სტუმრები დაპატიჟებულნი?

ბენო: რვაზე, ხო ვთქვი.

დოდოშკა: ყოველთვის ეცადეთ, რომ სადილზე არ დააგვიანოთ. დაგვიანება თქვენს პერსონას ჩრდილს აყენებს. ის, რომ საცობში იყავით და ამიტომ დაგაგვიანდათ, არადამაჯერებლად ჟღერს. 15 წუთი ან, თუ უფრო მეტი გაგვიანდებათ, აუცილებელია, დარეკოთ და მიზეზი აუხსნათ მათ, ვინც გელოდებათ. დარეკვა მხოლოდ ერთ წუთს წაგართმევთ, სამაგიეროდ, მათ გააფრთხილებთ და თქვენს თავსაც დადებითად წარმოაჩენთ. დარეკეს?

ბენო: (ზოიას) არა, ხო არ დაურეკავთ?

ზოია: არა, ერთი მე გადავურეკავ.

დოდოშკა: არ არის საჭირო. არ უნდა იფიქრონ, რომ მათ გარეშე ჩვენს შეკრებას აზრი არ აქვს.

ზოია: აბა, რა ვქნათ?!

დოდოშკა: დავსხდეთ. ჩვენ წესებს ნუ დავარღვევთ.

ბენო: ისე, მაგრა კი მშია.

დოდოშკა: ერთი წუთით! მსგავსი ფრაზები აღარ გამაგონოთ! მორჩა, ჩაირთო წამზომი. გამოცდა დაწყებულია!

ბენო ბაბოჩკას გაისწორებს და ქალბატონებს სკამებს გამოუწევს.

ბენო: დაბრძანდით, დაბრძანდით გეთაყვა. რომელ ღვინოს მიირთმევთ, წითელს თუ შავს?

დოდოშკა : შავს, დიდი მადლობა.

(ბენო ღვინოს ჭიქებში ასხამს).

ბენო: (ზოიას) თქვენ? რა დაგისხათ?

ზოია: ისე, მე წყალი მინდა ჯერ.

ბენო: დადე ეგ, წყალი ყველაზე დიდი ჭიქით ისმება.

ზოია: უი.

დოდოშკა: ისე, ქალბატონო ზოია, წყალი ერთადერთია, რაც თავადაც შეგიძლიათ დაისხათ და ამით, არანაირ ეტიკეტს არ დაარღვევთ.

ზოია: არ დაშავდება ხო ამით აფერი?

დოდოშკა: არავითარ შემთხვევაში.

კარზე ზარი და ბრახუნი ერთდროულად ისმის, ბენო კარს აღებს. გიგილოს და ნიკუშას მთვრალი გრემი შემოჰყავთ, თვითონაც ნასვამები არიან.

გიგილო: აიტ! არ გველოდით ხომ?!

გრემი: აიტ!!!

ზოია: დედა ჩემი სიკვდილი, რაფერ გამომტყვრალან ესენი.

გიგილო: ეს გამომართვი ზოიას ვენეცვალე, რესტორნიდან წამოვიღეთ (აწვდის დიდ პარკს).

ზოია: რა არის ეს?

გიგილო: რა ვიცი, ამოალაგე. მწვადი, ქაბაბი, ხაჭაპურები, კიდევ არის რაღაც-რაღაცეები.

ბენო: ეხხ, არ გამოგვდის ჩვენ ,,სვეტური'' სუფრა ვატყობ. ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ჩვენ ლოდინის ყველა ეტიკეტი დავიცავით და მხოლოდ მას მერე დავსხედით სუფრასათან. მობრძანდით და დაბრძანდით. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ თქვენთვის უცნობი ქალბატონი დოდოშკა, ჩემი საყვარელი მასწავლებელი.

გრემი თითს მაღლა სწევს და ცდილობს რაღაც სიტყვა წარმოთქვას.

გრემი: გაუმარჯოს! ჩვენი წინაპრები! გაუმარჯოს!

ბენო: რა დროს წინაპრებია ჯერ?! ძალიან გთხოვთ, სუფრის ეტიკეტი დაიცვათ ბატონო გრემ. ამერიკელ პროფესორს, ასეთი რამ არ გეკადრებათ. არა პატ. მასწ?

დოდოშკა: (აშკარად თვალში მოუვიდა გრემი) არაუშავს, სტუმარს არ აძლევენ შენიშვნას, თანაც ვატყობ, რომ დღეს, რაც ჩაფიქრებული გვქონდა, აღარ გამოგვივა (გადაიკისკისებს).

ბენო: მეც ეგრე მგონია. სხვა დროს იყოს რა, დამახრჩო ამის... (მოიძრობს ,,ბაბოჩკას'' და ტახტზე მოისვრის).

გრემი: Gigilo and Nikusha!!! You two are my bestfriends! (გიგილო და ნიკუშა! თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრები ხართ!)

ჩემი ცინაპრები? (იწყებს ქვითინს).

ბენო: რა სჭირს ამ უბედურს?

გრემი: არა, მე არ ვარ უბედური, მე ვარ ბედნიერი!

ნიკუშა: რა ვიცი კაცო, სალობიეში შევატარეთ, იქ დალია გიგილომ წინაპრების სადღგრძელო, შენს ბაბუას და ბებიასაც გაუმარჯოსო და მას შემდეგ ქვითინებს, ვეღარ ვაჩერებთ.

ბენო: რათა? ეტყობა იმ მკვდარძაღლებმა არაფერი დაუტოვეს, არა?!

გრემი: ჩემი ბავშვობის მერე, არავის, არავის, არ თქვა არც კარგი, არც ცუდი ჩემი გრანდ ფადერ ენდ ჩემი გრანდ მადერ და დღეს აქ, ესენი ამბობენ რომ გაუმარჯოს შენი ბაბუა და შენი ბებია (ტირის).

გრემს სკამზე სვამენ. დოდოშკა გაუღიმებს, გრემიც წამოდგება, მიუახლოვდება, ხელზე აკოცებს. მერე ზოიასთან გადავა.

გრემი: You are very beautiful, Zoia! (თქვენ ძალიან ლამაზი ხართ)

ზოია: რაიო?

ბენო : შენა ყოფილხარ ვინც ყოფილხარ, ბრილიანტიო.

ზოია: ოხ დეიღუპოს საცხა.

ნიკუშა: მართლა როგორ გამოპრანჭულხარ, შე შეჩვენებულო შენა?!

ზოია: დედა, არ მომცა საშველი ამ კაცმა და რა მექნა? მე ხო არ ჩავჭრიდი გამოცდაში?!

დოდოშკა: სხვათაშორის, ბატონო გრემ, ჩემს სოფელშიც არის ძალიან კარგი ეკლესია. შარშან ააშენა ერთმა ჩვენმა თანასოფლელმა, რომელიც ახლა საზღვარგარეთ ცხოვროს და, თუ დაინტერესდებით, აუცილებლად წაგიყვანთ. წმინდა სოფიკოს სახელობის...

ნიკუშა: წმინდა სოფიკოს?

დოდოშკა: დიახ, დიახ. თავისი შვილის საპატივცემულოდ... სოფიკო ჰქვია ბავშვს და წმინდანი ყოფილა სოფიკოც.

გრემი ვერ ხვდება, რას ეუბნება დოდოშკა. თავს მექანიკურად დაუკრავს.

სუფრასთან აღარ ჯდება, სავარძელში ჩაესვენება და ჟესტით ანიშნებს, ცოტა ხნით თავი დამანებეთო. თვლემს.

ზოია: ცუდად ხომ არ არის?

ბენო: დაანებეთ თავი. იყოს, როგორც უნდა. მეგობრებო, მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ შესანიშნავ ხალხთან ერთად ვარ სუფრაზე და ისიც მიხარია, რო გამოცდა გადაიდო და მგონი, დიდი ხნით. ჩვენ გაგვიმარჯოს! ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

გრემი: (წამოიყვირებს) გაგიმარჯოს!!! (და იქვე გააგრძელებს ძილს).

გიგილო: კაცო, რა გამოცდა? მეორე დღეა მესმის, თუ ღმერთი გწამს, გაგვაგებინე, ვინ ხარ? რა კაცი ხარ? რას სწავლობ? რა გამოცდებს აბარებ? ვის აბარებ?

ბენო: ჯერ დალიეთ ყველამ ჩვენი გაცნობის და შეხვედრის.

- გაგვიმარჯოს!
- ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!
- კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! (ახმაურდება ყველა და უცებ, საოცარი სიჩუმე ჩამოწვება).

ბენო: რავი, რა გითხრათ?! 21 წლის ბიჭი ვიყავი, აქედან რო წავედი ისრაელში. რაც გაჭირვებული და ღარიბ-ღატაკი აქ ვიყავი, იქაც ეგეთი ჩავედი. ვინ, რას მომცემდა ან ვინ, რას გამიკეთებდა?! მშობლები მე არ მყავდა და ახლო ნათესავები. ჯერ მამა გარდამეცვალა, მერე ბებია, მერე დედა. ერთი ძალიან მდიდარი ნათესავი გვყავდა და,

როცა ჩემს სახლში ჭირის დღეები ტრიალებდა, იმ კაცის მოსვლა უფრო დიდი მოვლენა ხდებოდა, ვიდრე ჩემი ოჯახის წევრების სიკვდილი. პატარა ბიჭი ვიყავი და მეც ამ კაცის სახელის ხსენებაზე, ლამის ენა მებმოდა. რატომღაც, სულ წვიმდა მაგ დროს... სამივეს დასაფლავება კარგად მახსოვს. სამივეჯერ წვიმდა. მახსოვს, პირველად მისი მანქანა რო გაჩერდა ჩვენს ჭიშკართან, ჩემმა მეზობელმა, არიქაო და ორი ფიცარი მომაჩეჩა ხელში, ფეხსაცმელი არ გაუტალახიანდესო! მეც, გადმოდგა თუ არა ფეხი მანქანიდან, იქვე დავუდე ერთი ფიცარი, მეორე ფეხის გადმოდგმა რო დააპირა, მეორე ფიცარი მივაშველე. მერე ისევ -პირველი, მერე - მეორე და ისე იარა სახლამდე, ერთი წვეთი ტალახიც კი არსად მიკარებია. შემოვიდა სახლში. სახლს მე ვეძახი, თორე ერთი ფარღალალა ქოხი იყო. აიხედა ზევით, „ნწუ, ნწუ“-ო თქვა, ეს რა დღეშია აქაურობაო, ამის ასე დატოვება არ შეიძლებაო. ერთი თვალი მოავლო იქ მყოფებს და წავიდა. მეც წინ გადავუსწარი და ისევ ისე მივაცილე მანქანამდე ჩემი ორი ფიცრით. მამაჩემი ჭლექით გარდაიცვალა, სულ ახლგაზრდა. წელიც არ იყო გასული, რო ბებიაჩემიც მიყვა, ვერ გადაიტანა. ისევ მოვიდა ის მდიდარი კაცი და უკვე ჩემით დავხვდი ორი ფიცრით... სანამ მანქანის კარს გააღებდა, მუხლებზე დამდგარი ველოდებოდი. მესამედაც ასე იყო, აღარ გავიმეორებ... მხოლოდ ეგ იყო, რო ის კი მიდიოდა სუფთად, ახლაც მახსოვს მისი გაპრილალებული შავი ლაქის ფეხსაცმელები, მაგრამ მე ვრჩებოდი თავით ფეხებამდე ტალახში ამოგანგლული. სამჯერ ისე მოვიდა და წავიდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის თვალებში. სულ მარტო დავრჩი პატარა ბიჭი, დედაჩემი კი მეგრულად დაიტირეს ჩემმა მეზობლებმა, ისე, როგორც თავის მკვდრებს ტიროდნენ. იმათი შემოწოდებულ ერთი ნაჭერ ხაჭაპურზე გემრილი, არც მაშინ და არც მერე არაფერი მიჭამია. როცა ებრაელებს გზა გაუხსნეს და უთხრეს წადით თქვენს აღთქმულ მიწაზე დაბრუნდითო, მეც მაგ ტალღას გავყევი. აქ არაფერი მრჩებოდა, არც ქონება და არც ადამიანები. მთელი სოფელი ერთად ავიყარეთ და წავედით. ერთი, რაც ჩამრჩა და ახლაც გული მიჩუყდება, ჩემი ქართველი მეზობლები იყვნენ, ჩუმად რო ტიროდნენ მეგრულად, როგორც დედაჩემის დაკრძალვაზე. ბავშვობიდან, ერთი ჩემი კლასელი გოგო მიყვარდა. მისი ოჯახი თავიდანვე შეძლებული იყო და თამაშის დროსაც კი, როგორც მუნიანს ისე მაცილებდნენ. ისრაელში რო ჩვედით, ახლო-ახლოს მოგვიწია ცხოვრება. ამასობაში, მეც გავიზარდე, გავლამაზდი და იმ გოგოსაც არ გამორჩენია ეს ამბავი. ყოველთვის ვგრძნობდი მის ინტერესს ჩემს მიმართ. ერთხელაც, საღამო იყო და ვიწრო ქუჩაზე ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით. გვერდს ვეღარ ავუვლიდით ერთმანეთს და ორივე გავჩერდით. ვინმეს რომ არ დავენახეთ, ჩემთან შემოვიპატიჟე. ერთი პატარა ოთახი მქონდა და მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო. რამდენიმე დღეში კი შევიტყვე, რომ მთელი ოჯახი ამერიკაში გამგზავრებულიყო. ჩემთვის არაფერი უთქვამს მაშინ. დავსევდიანდი, ადგილს ვეღარ ვპოულობდი. იქ ცხოვრება უკვე აღარ მინდოდა. ჩემთვის, ამერიკაში წასვლა არც ისე მარტივი იყო. ავდექი და პირველივე შესაძლებელ დროს, იტალიაში წავყევი ერთ იქაურ მდიდრ ებრელს ვაჭარს, როგორც შავი მუშა. ორი დღის მერე დავეთესე. დანარჩენს აღარ მოგიყვებით წვრილად. ევროპის თითქმის ყველა ქალქში ვარ ნაცხოვრები და, თუკი სადმე ბანდიტი და ოხერი იყო, ყველას ვიცნობდი. ყველა მემეგობრებოდა. საქმეში ჩემი ნდობა შეიძლებოდა და არც თავის დაზოგვა ვიცოდი. ხან მიმართლებდა, ხან - არა. ციხეებიდანაც ბევრჯერ ვარ გაქცეული. ხან იმდენი ფული მქონდა, თავს მილიონერად ვასაღებდი, ხან უკაპიკოდ ვრჩებოდი, მაგრამ

თავი მაინც გამქონდა, თანაც ახალგაზრდა ვიყავი, ლამაზი ბიჭი. არც ქალები მაკლდა, მაგრამ ის პირველი, მასზე ფიქრი მაინც მოსვენებას არ მაძლევდა. იტალიაში ერთი მაფიოზის ქალიშვილი შემიყვარდა, გათხოვილი, მაგრამ ესეც ფეხებზე მეკიდა. არაფრის მეშინოდა. ასე ვიცხოვრე თითქმის ათ წელზე მეტი.

ზოია: რასაა რო ყვება ეს კაცი?! მგონია კინოს ვუყურებ.

ბენო: კინო წინ არი ზოიაჯან, ეგ ჯერ ჟურნალია.

გიგილო: აცალე რაა!

ბენო: 29 წლის ვარ. ვენაში, რესტორანში ერთ ამერიკელ ებრაელს შევხვდი და ვიგებ, რო შვიდი წლის გოგო მყავს ამერიკაში. დედამისი გათხოვდა და იმ კაცს ჩემი შვილი თავის შვილად უღიარებია. მოსვენება დავკარგე, ცოტა დრო მჭირდებოდა, რო იქ წასასვლელი ფული მომეგროვებინა. ხელცარიელი ხო ვერ წავიდოდი და პირველად დავიწყე ფულის შეგროვება. ამასობაში, კიდევ ორჯერ „გამსროკეს“ და ორჯერ გამოვედი. კიდევ 5 წელიც გავიდა... მაგრამ უკვე კაი ფულით, კარგად გავიზმანე და დავაწექი ამერიკაში. ჩავედი, მოვძებნე. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდნენ. ყველაფრი წინასწარ მქონდა გარკვეული. წერილი მივწერე და შეხვედრა დავუნიშნე ჩემს პირველ სიყვარულს. საქმე მაქვს, ყველფერი ვიცი და მინდა გნახო მეთქი. ერთ კარგ რესტორანში დავპატიჟე. ისიც კი მივწერე, თუ გინდა შენ ქმართან ერთად მოდი, სალაპარაკოდ ჩამოვედი მეთქი. ვზივარ, ვეწევი და გულს სულ ბაგი-ბუგი გააქვს. როგორც არ უნდა იყოს, ძალიან მიყვარდა. და უცებ რა ხდება?! კარი იღება და მის მაგივრად, დედამისი არ შემოდის?! როგორც გველი, ისე შემოსრიალდა დარბაზში. ბევრი რო აღარ მოგაწყინოთ, მითხრა, როგორ ბედავ და შენს შვილს, როგორ უნგრევ მომავალსო. რას ვუნგრევ ქალო მეთქი?! არც ხელცარიელი ჩამოვსულვარ და არც არავის ცხოვრების დანგრევას ვაპირებ. ბავშვს ვნახავ, გავიცნობ, ფულსაც დავუტოვებ და ჩემს გზაზე წავლ მეთქი. ეს ამერიკაა, კულაში ხო არ გგონიაო?! შენი შვილი ისეთ პრესტიჟულ სკოლაში სწავლობს და ისეთ წრეში ტრიალებს, რომ გაიგონ, ვინც არის მამამისი, მთელი მომავალი დაემსხვრევაო. შენ, თუ იგებდი ჩვენს ამბავს, ჩვენ ვერ გავიგებდითო?! სად უნდა თქვას, რო მამამისი, ერთი ქურდი ჯიბგირი და ბანდიტიაო, თანაც ნახევარზე მეტი ცხოვრება ციხეში აქვს გატარებულიო. მართლა თუ სიკეთე გინდა, დაივიწყე, რო შვილი გყავსო. სხვა გზას აღარ მიტოვებთ მეთქი?! არის სხვა გზაც, კაცად უნდა იქცე, მაგრამ შენთვის უკვე გვიანი არისო. კარგი, გასაგებია მეთქი, ოღონდ უფლება მომეცი, ერთხელ მაინც ვნახო და ჩემს მკვდრებს გეფიცები, სანამ თვითონ არ მომძებნის, არასდროს აღარ ვნახავ მეთქი. გაჭრა. თანაც იცოდა, სიტყვას არ გავტეხდი და უარს თუ მეტყოდა, ჩემგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მეორე დღეს, როგორც შევთანხმდით, ქუჩაში შემთხვევით შემხვდა. ბებიამისთან ერთად მოდის, 12 წლის იქნებოდა მაშინ... ისეთი ლამაზი, ისეთი... ანგელოზივით. თვალებში ჩავხედე, ის იყო ჩემი დედაც, მამაც, ბებიაც და საერთოდ, ყველაფერი. ბებიამისმა, როგორც შორეუელი ნათესავი, ისე გააცნო ჩემი თავი. მე ხმა ვერ ამოვიღე. მხოლოდ თავი დავუკარი. მიღიმოდა სუფთა ნათელი თვალებით. ისევ დავუკარი თავი და პირველი მე წავედი. მეტის გაძლება არ შემეძლო. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და უკან მივიხედე. არ ვიცი, რა ძალამ მოატრიალა, ისიც მიყურებადა. მართლა არ შეიძლებოდა,

რომ მე ვყოფილიყავი მისი მამა. ევროპაში დავბრუნდი და პირობა მივეცი ჩემს თავს, ისეთი კაცი გავხდებოდი, რომ ჩემით ეამაყა ჩემს შვილს. ძველ ცხოვრებასაც ჩამოვცილდი და ძველ მეგობრებსაც. ეს არც ისე იოლი გამოდგა, მაგრამ შევძელი. მარსელში დავსახლდი. ცოლიც მოვიყვანე. ჩემს ცოლს შვილი არ გავაჩენინე, იმის სიყვარული რო არ გამნელებოდა. უკვე ოცი წელზე მეტია, რაც აქ ჩამოვდივარ, მაგრამ თბილისის გარდა, სხვაგან არ მივდივარ, ჩემების საფლავზეც კი არ ჩავსულვარ არც ერთხელ, მაგის ძალა არ მქონდა არასოდეს. ახლა ჩემს შვილთან ერთად ვაპირებ იქ ჩასვლას. ზეგ ეს გოგო ჩამოდის საქართველოში და მეორედ უნდა შევხვდე... და პირველად, როგორც მამა.

ზოია ტირის, დანარჩენები ყველანი ჩუმად არიან.

ბენო: არც ერთი დღე არ მიცხოვრია ჩემი შვილის გარეშე, მასზე რო არ მეფიქრა. რაღაც მინდა გთხოვოთ... მარტო ნუ გამიშვებთ აეროპორტში (ხმა აუკანკალდება)...

გიგილო: (გადაეხვევა) კარგი, დამშვიდდი. წამოვალთ , აბა, რას ვიზამთ.

ზოია: რას ქვია არ წამოვალთ?!

ნიკუშა: რა საოცრება მოგვიყვა ამ კაცმა, კარგი, კარგი (მხარზე დაკრავს ხელს).

გიგილო: აი ეს გაკვეთილები, რას ნიშნავს?

ბენო: რა ვიცი, ჩემი პატარა ჭკუით, მარტო ის, რომ ფინანსურად ყოველთვის შემეძლო ხუთვარსკვლვიან სასტუმროში მეცხოვრა, საუკეთესო მანქანა მყოლოდა და ბრენდები ჩამეცვა, არ იყო საკმარისი. მაღალ საზოგადოებაში რო ტრიალებ, მხატვრობაზეც უნდა შეგეძლოს ლაპარაკი, მუსიკაზე, კინოზე , თეატრზე... შენც, რაღაც უნდა იცოდე. რა, არა ვარ მართალი?! თან, მიყვარს ეს ოხერი ხელოვნება! საფრანგეთში მაგის დრო არა მაქვს, აქ რო ჩამოვდივარ, თან ვიხვეწები, თან ახალ ხალხს ვიცნობ. თან, ის რაც ბავშვობაში დამაკლდა, იმასაც ვინაზღაურებ. კინოც კი გადავიღე. ქართველების და ებრაელების სიყვარულზეა. მერე გაჩვენებთ, თუ გინდათ. ჩემი სცენარია, მე ვარ რეჟისორი და მთავარ როლშიც მე ვარ.

გიგილო: შენ ყოფილხარ ძმაო ჩარლი ჩაპლინი.

იცინიან.

ნიკუშა: ახლა ყველაფერი გასგებია. ამ კაცს არ გაუმარჯოს?!

გრემი: გაუმარჯოს!! (დაიყვირებს და უკვე გამოფხიზლებული წამოვა სუფრისკენ).

ბენო: მგონი, კარგ დროს გაიღვიძა.

ზოია: დაბრძანდით ბატონო გრემ, აგერ დაბრძანდით.

გრემი სუფრასთან ჯდება.

ბენო: იქ, საფრანგეთში არაფერი მაკლია, ყველანაირად უზრუნველყოფილი ვარ, მაგრამ იცით, რა მაკლია ყველაზე მეტად?! არც ვიცი როგორ აგიხსნათ... აი, ამას წინათ მემაწვნე ქალი მიდიოდა ქუჩაში, ნაჭრის დიდი ჩანთიდან მაწვნის ქილები მოჩანდა, ზუსტად ისეთი ქილები, ჩემს ბავშვობაში რომ იყო. ვერსად, მთელ მსოფლიოში ვერ ნახვთ ასეთ ქილებს. უცებ, ნაბიჯს აუჩქარა, გაიქცა ამ მძიმე ჩანთით, მერე ისევ გაჩერდა და ჩანთა ძირს დადო. ყურადღება მივაქციე. რა ჭირს მეთქი?! მივხვდი, თავისი ავტობუსი დაინახა და მაგიტომ გაიქცა, მერე მიხვდა, რო ვერ მიასწრებდა და გაჩერდა. მივუახლოვდი, ერთი-ორ ქილა მაწონს ვიყიდი და სადაც ცხოვრობს, ტაქსით გავუშვებ მეთქი. რას ვხედავ?! ავტობუსის მძღოლმა ეტყობა შეამჩნია და ავტობუსი ზედ ფეხებთან არ გაუჩერა?! კარიც გაუღო. ეს მემაწვნე ქალიც ისეთი სიხარულით ახტა ავტობუსში... არ ვიცი, იქნებ ცოტა გაუგებრად მოვყევი, მაგრამ აქ კიდევ არის ასეთი სიხარულები დარჩენილი... სხვაგან არსად აღარ არის.

გრემი: მე გავიგე, როგორ არა , მაწონი! მაწონი! დილას გავიგე და კარგია?

ზოია: ავიღე სამი ქილა და მოგცემთ, თუ გნებავთ.

გრემი: აუ, მადლობა, ძალიან კეთილი ხართ.

ზოიას მოაქვს მაწონი და კოვზი. გრემს აძლევს.

გრემი: მართლა ძალიან კარგი მაწონი.

ბენო: ჭამე, ჭამე. მაგაზე კარგად ვერაფერი გამოგიყვანს პახმელიაზე.

გრემი: პახმელიაზე?

ბენო: ეეჰ?! ეხლა შენ მოყევი გრემ, როგორი მაგარია ამერიკა. ხო მაგარი ქვეყანაა, ჩემი შვილიც ამერიკაში ცხოვრობს.

გრემი: მართლა? ძალიან სასიამოვნო.

ბენო: ხო გიყვარს შენი სამშობლო?

გრემი: კი.

დოდოშკა: და ალბათ, ყველაფერი ძალიან მოგწონთ, როგორც ყველა ამერიკელს.

გრემი: ყველაფერი - არა.

ბენო: ეხლა პოლიტიკაზე და პრეზიდენტზე არ დაიწყო ლაპარაკი, ძალინ გთხოვ.

გრემი: ხო არა, სხვა რამეც ბევრი...

დოდოშკა: მაინც, რა არ მოგწონთ? რა საინტერესოა?!

გრემი: ჩემი სამსახური არის 32 სართულზე და არ მიყვარს მაღლა, ლიფტი. აი, აქ კარგია, გამოხვედი, ფეხით ახლო მიწა.

ზოია: აუჰჰჰ, რა გამაძლებინებს 32-ე სართულზე, ხო გადავირიე და გავგიჟდი.

გრემი: კი მართალია, ერთი ბიჭი უკვე გიჟი გახდა ჩემს ოთახში, იმიტომ, რომ, როცა სახლში წავიდა იყო გვიან, პარასკევი, ლიფტი გამოირთო, სამსახურის საათები დამთავრდა, მობილური იქ არ მუშაობს და ორშაბათამდე იჯდა სიბნელეში. ფსიქიატრიული საავადმყოფოში არის კიდევ ჯერ.

დოდოშკა: ბოდიშს გიხდით, მაგრამ უნდა წავიდე.

ბენო: გაგაცილებთ დოდო მასწ!

დოდოშკა: არ არის საჭირო.

ბენო: ცოტას გავნიავდები მეც, გარეთ მინდა გასვლა.

დოდოშკა და ბენო გადიან.

სიჩუმეა.

გიგილო: ჩვენც ხომ არ წავიდეთ?

ნიკუშა: ხო, დავიღალე მეც, წავედით.

ნიკუშა და გიგილოც ემშვიდობებიან გრემს და ზოიას. მიდიან.

რჩებიან ზოია და გრემი.

ზოია: თქვენც დაიღლებოდით ალბათ, მთელი დღე, ამდენ წოწიალში...

გრემი: რაში?

ზოია: ამდენი რო იარეთ, არ დაიღალეთ?

გრემი: არა, მე ხო აქ მეძინა ტახტზე, საერთოდ არ ვარ დაღლილი.

ზოია: ძალიან კარგი.

გრემი : რაღაც გთხოვოთ შეიძლება?

ზოია: აბა რაა?! ზიზიმ გამაფრთხილა, შეუსრულე, რასაც მოისურვებს ბატონი გრემიო.

გრემი: მე მინდა, რომ ქალაქში ფეხით გავიაროთ, თუ შეიძლება...

ზოია: ოხ, რა პრობლემაა?! ახლავე. ამას დამლაგებელი მიხედავს. კი ბატონო.

ზოია პალტოს იცვამს და გადიან.

სასტუმრო დილა.

მისაღებში ბენო, თომასი და იურიკო სხედან .

შემოდიან გრემი და ზოია.

ბენო: სად იყავით?

ზოია: დედა, სად არ ვიყავით, მოვიარეთ ძველი თბილისის ქუჩები, მერე მთაწმინდაზე ავედით ფეხით, იქიდან გადმოვახედე. გააბდლებულია კაცი, ეს რა ქვეყანა გქონიათო.

გრემი: მე დავიძინე, ძალიან დავიღალე.

ზოია: ასე მოგიხდება შენ, მე რას მეჯიბრები, ახლაც რო გამიშვა, კიდე შემოვივლი ქალაქს ისე, რომ ერთს არ დავიკუთებ.

გრემი ბლოკნოტს ამოიღებს.

გრემი: Please repeat it “davikuteb”? what does it mean? (გთხოვთ გაიმოროთ ,,დავიკუთებ’’ რას ნიშნავს?)

ბენო: რა არის დავიკუთებო? მეც არ ვიცი ეგა.

ზოია: უი, შენ მომიკვდი საცხა, რა ჯანდაბათ უნდა, იწერს და იწერს, რასაც ვამბობ. რაი და არ დავიწუწუნებ თქო.

გრემი: ზოიამ ძალიან ბევრი სიტყვა ახალი მასწავლა, მადლობა. წავედი. შეხვედრამდე.

ადის ზემოთ.

ბენო: არ დაგპატიჟა სადმე მაგ წუწურაქმა? ამდენი რო გატარა?

ზოია: რათ მინდოდა, კი მითხრა, მარა არ მინდა თქვა და კაიო.

ბენო: ერთი ნახე რაა, რა მაგარი რამე მასწავლა იურიკომ.

ზოია: ეს რაღას გასწავლის, არ გადამრიო?!

ბენო: ცოტა იაპონურიც რო ვიცოდე, რა ცუდია?!

ზოია: არა ცუდი რატოა, რაც მეტი იცის კაცმა, მით კაი.

ბენო იწყებს სიმღერას იაპონურად

ბენო: (მღერის) „მოში, მოში კამიუ კამისამიუ

იკო იკო მასაკა, კამი კამიუ

მოში მოში ისაკა კამისამიუ“

იურიკოც აყვება და ერთად მღერიან .

ზოია: დედა გადავირიე, რა კაი სიმღერა ცოდნია ამ ქალს?

ბენო: და შენ იაპონური ლოცვა, თუ იცი?

ზოია: სიდან?

ბენო: მოიცა, ზემოთა მაქვს, უნდა ჩამოვიტანო.

იურიკო: Oh, your Khatchapuri is so good! (ოჰ თქვენი ხაჭაპური ისეთი კარგი იყო)

ზოია: მოგეწონა ხო? კიდე მაქვს კაცო, ჩემი არაა, მაგრამ ჩემმა ბიჭებმა მიიტანეს რესტორნიდან, გიგილომ და ნიკუშამ.

იურიკო: Pardon, I don’t understand. (უკაცრავად არ მესმის)

ზოია: აა, ხოო... მაი ბოი ფრენდს, ბრინგ მენი ხაჭაპური.

იურიკო: What? Your Boyfriends?? (რაა? თქვენი შეყვარებულები? (ქართულად პირდაპირ თარგმანში boy friend ნიშნავს ბიჭ მეგობარს, ხოლო boyfriend შეყვარებული)

ზოია: იეს! იეს!

იურიკო: You have many? (ბევრი გყავთ?)

ზოია: იეს! გავიგე ყველაფერი.

ზოია: მაი თუ ბოი ფრენდს, ნიკუშა ენდ გიგილო. აი ჰევ ით მენი ბათ თრი არ დედ.

იურიკო : Zoia, are you serious? Do you have five? (ზოია, სრიოზულად? მართლა ხუთი შეყვარებული გყავთ?)

ამ დროს ბენო ჩამოდის კიბეებზე.

ბენო: ეეე ზოია, ნუ გააგიჟე, რეებს ეუბნები?

ზოია: რას ვეუბნები, ჩემი მეგობარი ბიჭები თქო.

ბენო: მერე, არ იცი ბოი-ფრენდი, რაცა გონია მაგასა?!

ზოია: დედა ჩემი სიკვდილი, უთხარი კლასელები თქო, ძმები.

ბენო: Her Classmates. (კლასელებიო)

იურიკო: აჰ-აჰ-აჰ-აჰ-ააა...

ბენო: ხოდა ეხლა მომისმინე კარგად, იაპონური ლოცვაა ესა ამას დავწერინე (კითხულობს ფურცელზე დაწერლის იაპონურად და ქართულად თარგმნის):

ღმერთო, უბრალოდ მინდა გითხრა: მადლობა!
იმიტომ, რომ დღეს რომ გავიღვიძე, ვიცოდი სად იყვნენ ჩემი შვილები.
იმიტომ, რომ დღეს დილით ჩემი სახლი ფეხზე იდგა.
იმიტომ, რომ დღეს დილით არ ვტიროდი.
იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე, ჩემი შვილები, ჩემი მშობლები, დები, ძმები ცოცხლები იყვნენ და არ ვეძებდი მათ ბეტონის ნანგრევებში.
იმიტომ, რომ დღეს დილით ცოცხალი ვიყავი მეც...

ზოია: ეს რა ლოცვა ქონიათ ამ იაპონელებს?!

ბენო: ეხლა უკვე ლენონსაც გავუგე და ამ ჩვენს თომასსაც.

თომასი სულ ფოტოებს იღებს.

ბენო: თუ კიდე ვინმე შემეკამათება, რო ღმერთი ერთი არ არის, თავ-ყბას გავუერთიანებ.

თომასი და იურიკო გასამგზვრებლად არინ მომზადებულები, ზურგჩანთებით.

ზოია; მიდიხართ უკვე?

ბენო: არა, კახეთში მიდიან სამი დღით და ისევ აქ დაბრუნდებიან.

(ბენო იაპონურად ემშვიდობება, იურიკოსს და თომასს.) საიონარა!

კარი იღება და ზიზი შემოდის

ზოია: დედა, ასე მალე გავიდა სამი დღე?

ზიზი: სამი დღე კი არა, რა წარწერაა სასტუმროზე?

ბენო: რა წარწერაა? ჯერ გამარჯობა თქვი, რას გვეცი ქალო?

ზიზი : Zoia. Guest House.

ზოია. საოჯახო სასტუმრო.

ბენო: და, არ არის რო?

ზიზი: მე „ზიზი“ შევუკვეთე და „ზოია“ რატომ მოიტანეს?

ბენო: დარეკეს, მეპატრონეს რა ქვია სახელიო? ზოიამ, ჩემი სეხნიაააო და...

ზიზი: რაღა მაშინ დარეკეს, როცა მე აქ არ ვიყავი?

ბენო: კაი რა, მაგაზე რა განერვიულებს, ჩემს თავზე ვიღებ. ახალი შეუკვეთე, რა პრობლემაა?! მე ვიხდი!

ზიზი: ახლა კაი დროსია.

ბენო: და, გვიანი რატოა რო?

ზიზი: გრემ გილგუდს დაუწერია ტვიტერზე, რომ მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ამაზე თბილი სასტუმრო, ამაზე თბილი მასპინძლითო და ახლა უკვე ყველამ იცის ეს! „Zoia. Guest House“ მთელი წლით დაიჯავშნა, ყველა ნომერი.

ბენო: და ჩემი? ჩემიც ხო არ დაბრონეს მაგ მკვდარძაღლებმა?!

ზიზი: კი, მაგრამ არ არის პრობლემა. შენ შინაური ხარ და როცა ჩამოხვალ, ჩემს ოთახს დაგითმობ, თანაც ვატყობ, გაისამდე სხვენის დაშენება მომიწევს.

ზოია: მაგი კაი ამბავია, არა მამიდა?!

ზიზი: კაი ამბავი, კი. მაგრამ...

ზოია: ხოდა, ნუ ხარ შენ ფოციანი გურული.

ზიზი: კარგი, დავისვენებ და მერე, საღამოს გრემთან ერთად გვაქვს დაგეგმილი შეხვედრა. სად არის? ხომ მაგარი სიმპათიურია?!

ზოია: კი, ნამდვილად კაი კაცი ყოფილა. კი მარა, მე აღარ მიშვებ სახლში?

ზიზი: დღესაც რაა, ძალიან გთხოვ... ღამე გაგიშვებ.

ზოია: კაი ბატონო, კაი, საღამოს მაინც აეროპორტში მივყვებით ბენოს მე, გიგილო და ნიკუშა.

ზიზი: რა გინდათ აეროპორტში?

ზოია: გრძელი ამბავია მაი.

ზიზი: კარგი, მეც არ მაქვს ახლა გრძელი ამბების მოსმენის თავი. წავედი, დავიძინებ. სად არის გრემი?

ზოია: ღამენათევია ეგაც, ახლა ავიდა ზემოთ.

ზიზი: კარგი, წავედი.

ზიზი გადის.

რჩებიან ბენო და ზოია

ზოია: ხო არ ნერვიულობ ბიჭო?

ბენო: ისე რა...

ზოია: ხო იცნობ რო დაინახავ? რამდენი წლის იქნება ახლა?

ბენო: კი. ცნობით, რას არ ვიცნობ. ეს ფეისბუკი რაც გამოიგონეს, მაგის ფოტოების მეტს, რას ვნახულობ. დიდად არც შეცვლილა, თვალები ისევ ისეთი აქვს, მე რო გამომხედა მაშინ.

ზოია: ახლა რატომ გადაწყდა ეს შეხვედრა?

ბენო: დედა გარდაეცვალა და ბებიამ მოუყვა ყველაფერი. იცის, თვითონ მომწერა ორი წლის წინ, შენი ნახვა მინდაო.

ზოია: მერე, ამდენი ხანი რატო არ შეხვდი?

ბენო: ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად.

ზოია: ახლა ხომ ხარ მზად?

ბენო: რამდენიმე თვის წინ, სიმსივნის დიაგნოზი დამისვეს.

ზოია: მერე რა შე კაცო, მაგან რავა შეგაშინა, თან შესაძლებლობაც გაქვს.

(ზოია დაიბნევა) ნუ გეშინია, მაი არაფერი.

ბენო: არაფერი როგორ არის კიბო?

ზოია: კაცო, შველიან ხალხს, ვისაც შესაძლებლობა აქვს და დაგვიანებულიც არ არის. სად გაქვს?

(ბენო მიდის და ყურში ეჩურჩულება რაღაცას)

ბენო: უნდა მოიჭრაო.

ზოია: ოჰ?! რა მოხდა მერე?

ბენო: რას ქვია, რა მოხდა! რაც მე ამან მთელი ცხოვრება პატივი მცა, ახლა მოვიჭრა და გადავაგდო?! არა, ეგ არ იქნება!

ზოია: აბა, რას აპირებ?

ბენო: ვიქნები, სანამ გავქაჩავ. არც ეგრე მაქვს დათვლილი დღეები.

ზოია: კაი, მაგაზე მერე დაგელაპარაკები შენ.

ბენო: სიკვდილის სულ არ მეშინია, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ჩემი მშობლების საფლავზე ჩავიდე ბანძაში, ჩემი ქალიშვილიც თან წამომყვება, ამაზე უკვე შეთანხმებულები ვართ. დედამისისგანაც ბევრი სმენია იქაურობაზე და ძალიან აინტერესებს. მე კიდე იმედი მაქვს რო ერთი ნაცნობი მაინც დამხვდება იქ.

ზოია: რა არის მაინც ცხოვრება, მეც ასე ვარ, ჩემს გურიაში რო ჩავდივარ, ასე მგონია თვიდან ვიბადები.

ბენო: კაი, წავალ ეხლა მე სალონში. თმა უნდა გავიკრიჭო, ცოტას გავლამაზდები.

ზოია; აბა რაი ?!

ბენო: რაღაც მინდა გთხოვო...

ზოია: მთხოვე, რაც გინდა.

აწვდის კონვერტს

ბენო: შემპირდით რომ, თუ მოვკვდები აქ ჩამომასვენებთ და დედაჩემის გვერდით დამმარხავთ. აქ იმდენია, ყველაფრზე გეყოფათ, ქელეხზეც.

ზოია: ახლა არ გადამრიო ქალი, რეებს ბოდავ თუ იცი შენ, მომაშორე ეგ კონვერტი აქედან.

ბენო: ესე იგი უარს მეუბნები...

ზოია: ნუ მაგდებ ახლა უხერხულ მდგომარეობაში.

ბენო: მაშინ გამომართვი და მე რო წავალ, ნიკუშას და გიგილოს მერე უთხარი.

ზოია: არ გვინდა ბატონო ეს შენი ფული, ერთი კაცი ვერ დაგვიმარხია სამ კაცს? ეგება გასწრებთ სამივე , მაშინ რას შობი?

ბენო: სამივე? გამომრთვი. სამადლოდ დასამარხი არაფერი მჭირს. ფული კი მაქვს, მარა ჭირისუფალი არ მყავს აქ თქვენნაირი. იქ სიაც დევს...

ზოია: რაის სია?

ბენო: ქელეხზე დასაპატიჟებელი ხალხის, აქაურების. რა თქმა უნდა, ვინც არ გამასწრებს.

ზოია: დიდუუუ, რა დავაშავე ასეთი. ამას ვის გადავეკიდე.

ართმევს კონვერტს, ბენო მიდის.

ფინალი:

ღამეა . ზიზი და გრემი სიცილ-კისკით შემოდიან სასტუმროში.

გრემი: რა სიჩუმეა, ზოია რომ არ არის.

ზიზი: კი, მამიდაჩემი ხომ მართლა ძალიან მაგარი ქალია?

გრემი: კი, ძალიან.

ზიზი: რა შესანიშნავი საღამო იყო, არა ბატონო გრემ?

გრემი: ძალიან, ძალიან. საერთოდ აქ ჩამოსვლა იყო ძალიან სწორი გადაწყვეტილება.

ზიზი: თითო ჭიქა შამპანური ხომ არ დაგველია?

გრემი: კარგი იქნებოდა, მეც მინდოდა რომ მეთქვა

ზიზის შამპანურის ბოთლი და ჭიქები გამოაქვს. გრემი ბოთლს ხსნის და ჭიქებში ასხამს.

გრემი: არაჩვეულებრივად გამოიყურებით ზიზი, მართლა ძალიან ლამაზი ხართ.

ზიზი: დიდი მადლობა.

გრემი: გათხოვილი არც ყოფილხართ ხომ?

ზიზი: არა, რა ვიცი, ვერ მოვიცალე ამისთვის, თანაც ყოველთვის ჩემზე უფროსი და ჭკვიანი კაცები მომწონდა.

გრემი: მეც. მეც სულ ჭკვიანი ქალები მომწონდა, ლამაზიც. ჩემი ცოლიც იყო ძალიან ჭკვიანი და ძალიან ლამაზი.

ზიზი: რა საწყენია, რამდენი ხანია, რაც გარდაიცვალა?

გრემი: რვა წელი.

სიჩუმეა.

გრემი: მეგონა, რომ საერთოდ აღარ ვიფიქრებდი ცოლზე, მაგრამ აზრი შემეცვალა.

ზიზი: არა, ჯერ ხომ ახალგაზრდა ბრძანდებით.

გრემი: არც ისე ახალგაზრდა, 55 წლის ვარ.

ზიზი: საერთოდ არ გეტყობათ ბატონო გრემ და ისედაც, რა არის 55 წელი?!

გრემი: მოდი, თქვენ გაგიმარჯოთ ზიზი, მე აქ სადღეგრძელოებიც ვისწავლე.

ზიზი: დიდი მადლობა.

გრემი : ჩემი აქ ჩამოსვლა ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო და ამას თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

ზიზი : ხოო, მახსოვს როცა გითხარით საქართველო ისეთი ქვეყანაა, თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთთქო შეკითხვა შემომიტრიალეთ, - რატომ უნდა ვნახო, რა არის ისეთი რაც სხვა ქვეყანაში არ არისო?

გრემი: და თქვენ მითხით , -ძალიან ბევრი რამ და თუ დაგაინტერესებთ გაიგებთო. ეს ისეთი ინტრგა იყო.

ზიზი : გულწრფელად გეუბნებით, ხომ გჯერათ, მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი რომ ებრაელი იყავით.

გრემი : ხო მჯერა, მჯერა. მოკლედ დიდი მადლობა კიდევ ერთხელ ყველაფრისთვის.

ზიზი: ძალიან მიხარია თუ ასეა.

გრემი: ზიზი, რაღაც მინდა გითხრათ და იმედი მაქვს, რომ არ გამიბრაზდებით.

ზიზი: აა? არა, რა თქმა უნდა.

გრემი: იცით, მე მინდა, რომ ცოლი მოვიყვანო და მივხვდი, რომ ამისთვის მზდ ვარ, მაგრამ ეს ჩემზე არ არის მარტო...

ზიზი ჩუმდება და თავს დახრის.

გრემი: მე, უფრო საინტერესო, მართალი და კეთილი ადამიანი არ შემხვედრია ჯერ ჩემს ცხოვრებაში...

ზიზი: კარგით რაა...

გრემი: ქალბატონი ზოიას მინდა, რომ ხელი ვთხოვო.

ზიზი: ვიის?

გრემი: აი, ვიცოდი, რომ პრობლემა იქნებოდა. უკვე გავარკვიე, რომ მასაც ქმარი გარდაეცვალა. ჩვენ ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ, თითქმის მთელი ღამე.

ზიზი: რას ნიშნავს მთელი ღამე?

გრემი: ფეხით ვისეირნეთ ქუჩაში, მერე მთაწმინდაზე ავედით და ყველაფერი მოვუყევით ორივემ ერთმანეთს.

ზიზი: იცის ეს მამიდაჩემმა?

გრემი: არა, რას ამბობთ?!

ზიზი: მერე, რას აპირებთ?

გრემი: ჯერ არაფერს, არ მინდა უარი მივიღო მე კიდევ ჩამოვალ აქ მალე. იმედი მაქვს, რომ ჩემს მხარეს იქნებით.

ზიზი: როგორ დავიჯერო, ამ სამ დღეში ისეთი გრძნობა გაგიჩნდათ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ ბატონო გრემ?

გრემი: იცით ზიზი, როცა ასაკში შედიხარ, გრძნობაზე მეტად იმედი

 გჭირდება და ზოიამ, მე ეს იმედი დამიბრუნა.

ზიზი ხმას არ იღებს, გაოგნებული ზის.

გრემი : ახლა რომელი საათია?

ზიზი: ორის ნახევარი.

გრემი: ხო, აი, ზოიაც მოვა და მივდივართ ერთად აეროპორტში.

ზიზი: რა აეროპორტში?

გრემი: ბენოს ქალიშვილი ჩამოდის და უნდა დავხვდეთ, გიგილოც და ნიკუშაც, მერე, ერთად შეიძლება წავიდეთ ყველა ბანძაში.

კარზე ზარია . ქოთქოთით შემოდის ზოია.

ზოია: სად ხართ კაცო, დაგვაგვიანდა! სადაა ბენო?

ბენო: აქ ვარ აქ, ზოიაჯან (ჩამორბის კიბებზე ბენო). აქ ვარ, ბიჭები მოვიდნენ?

ზოია: მოვიდნენ რას ქვია?! მანქანში გელოდებით ამდენ ხანს.

ბენო: აბა, წავედით! წავედით!

ზოია: დროზე გრემ. გამოადგი ფეხი.

ბენო: ზიზი შენც წაგიყვანდით, მაგრამ მეტი ადგილი არც არის მანქანში, თანაც, მერე გაგაცნობ, რა საჩქაროა.

ყველანი გადიან. ზიზი კარს მიხურავს და დიდ ხანს დგას ერთ ადგილას გაოგნებული.

რეკავს ტელეფონი

ზიზი: დიახ... გისმენთ... დიახ, თქვენ ზოიას გესტ-ჰაუსში რეკავთ. არა, უკვე ყველა ნომერი დაჯავშნილია. კარგად ბრძანდებოდეთ.

ჩაბნელება.

თამარ ბართაია

2019 წელი. 21 თებერვალი.